წელიწადი მეოთხე ფასი 10 კ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა 8 აპრილი 1928 წელი

ჟურნალზე ხელის მოწერა მიიღება გაზეთ „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში, ტფილისი რუსთაველის პროსპექტი, № 34. ჟურნალში მოსათავსებელი წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით ტფილისი, რევოლუციის მუზეუმი—პეტრე გელეიშვილი:

№ 64 (12)

ჟურნალის შინაარსი

ძველი უაზრობა ახალ სამოსელში—**ყარიბი**; ნიკო ნიკოლაძის ხსოვნას—**X**; ქართველი გლეხობა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადი—**ა. ვადაჭკორია**; მათი სიტყვა და საქმე—**ს. ელიაძე**; პროფინტერნის გავლენა და ხელმძღვანელობა იზრდება—**კ. ჭიჭიშვილი**; „ვიღაც პეშკოვი“—**ლეო შენგელაია**; ჩვენი მრეწველობის 5-წლიანი გეგმისათვის—**ნ. ელიავა**; რას ამბობენ ფაქტები—**ვლ. პაპავა**; რა ვნახე საბჭოთა კავშირში—**ლი—ლი**; მშრომელი ახალგაზრდობის მორიგი ამოცანები—**შოთა გოგუა**; სად უნდა იყოს ახალგაზრდობა—**სერგო ბილისერიშვილი**; კიდევ გაეროვნების გარშემო—**უპარტიო**.

## ძველი უაზრობა ახალ სამოსელში

### ს. დევდარიანის „საქართველოს ეკონომიკის საკითხები“-ს გამო

**I.**

ერთობ მქლე და უსინათლო იყო ქართული ეკონომიური აზროვნება წარსული 40—50 წლის განმავლობაში. ყოველგვარ ინიციატივასა და თვითმოქმედებას მოკლებული საზოგადოების აზროვნება, ცხადია, კუტი და უფრთო უნდა ყოფილიყო. მართალია, წარსული საუკუნის ქართველი საზოგადოების არც პოლიტიკური აზროვნება იყო მაინცა და მაინც მდიდარი და მრავალფეროვანი. პოლიტიკურ სახეს მოკლებული ერის მოაზროვნე ნაწილმა ილია ჭავჭავაძის პირით, მხოლოდ ერთი ფორმულის გამონახვა შესძლო.

— ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოსო.

ეს იყო და ეს. ეს იყო შაბლონი, ყალბი, რომელიც აძლევდა ფორმასა და სახეს ქართველი ინტელიგენციის მთელ თაობებს. ამ შაბლონის ირგვლივ ტრიალებდა ქართული პოლიტიკური აზროვნება, ეს შეადგენდა მის ღედა აზრს, მთელ მის შინაარსს.

ჩვენი ეკონომიური აზროვნება კი ერთ მკვდარ წერტილზე იდგა. ჩვენი ხალხის იდეოლოგებმა, ან უკეთ რომ ვთქვათ იმათ, რომლებსაც თავისი თავი ასეთებათ წარმოედგინათ,—ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში მხოლოდ ის დაინახეს, რაც ყოველთვის აშკარაა და რის არ დანახვაც ბრმისთვისაც კი შეუძლებელი იყო: მათ დაინახეს, რომ ჩვენი ქვეყანა სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა, რომ ჩვენში კაპიტალისტური წარმოება არ არსებობს.

აქედან მათ ის დასკვნა გამოიყვანეს, რომ ქართველი ხალხის კეთილდღეობისთვის ყველაზე უფრო საჭიროა სამეურნეო ცოდნა-განათლება. აქედან გამოდიოდენ ისინი, როცა კლასიკური ცოდნის წინაღმდეგ სწერდენ და მთავრობას სამეურნეო სკოლების დაარსებას ემუდარებოდენ..

სულ ეს იყო და ეს ძველი „ივერიის“ ეკონომიური პოლიტიკა.

მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას: იმ ჭეშმარიტი დებულებიდან, რომ საქართველო სასოფლო მეურნეობის ქვეყანააო, ჭავჭავაძესა და მის თანამოკალმეებს სულაც არ გამოუყვანიათ ისეთი დასკვნები, რომ საქართველოსთვის მსხვილი მრეწველობა მისაღები არ არისო. კიდევ უფრო მიუღებელი იქნებოდა მათთვის ისეთი აზრი, რომ საქართველომ თავი გაანებოს მრეწველობის განვითარებაზე ოცნებობას და სხვა ქვეყნებისთვის ნედლეული მასალების მიმწოდებლის როლით დაკმაყოფილდეს. ასეთი რამე, რომ ილია ჭავჭავაძისთვის გერჩიათ, ის თავზე ცეცხლს დაგანთებდათ:— როგორ? საქართველო სხვების საწველ ფურად უნდა გადავაქციოთო? და თავის კალმოსანთა მთელ ჯარებს ფეხზე დააყენებდა.

შემთხვევითი მოვლენა როდია, რომ გიორგი და აკაკი წერეთლები მუდამ იმის ცდაში იყვენ, რომ ჩვენში სადმე რაიმე მადანი აღმოეჩინათ, კაპიტალისტები ეშოვნათ და მრეწველობა გაეჩაღებიათ. არც ის იყო შემთხვევითი მოვლენა, რომ ქართველი ზუბრები თითქმის მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში შუამდგომლობდენ თვითმპყრობელი მთავრობის წინაშე — კახეთის რკინისგზის გაკეთების ნება მოგვეცითო.. მხოლოდ ნებართვა; ფულების შოვნას კი თვითონ ეპირებოდენ... ამ დღეებში გარდაცვალებული ნიკო ნიკოლაძე ხომ მუდამ იმაზე ოცნებობდა, რომ როგორმე საქართველოს ეკონომიური ძალები აემოძრავებია და ჩვენში მრე-

წველობა გაეჩაღებია. ნიკოლაძის მოღვაწეობის მხოლოდ ეს მხარე მოგვწონდა ჩვენ, მესამე დასიდან გამოსულ მწერლებს, თუმცა ჩვენ უდიდესი მოწინააღმდეგები ვიყავით მისი პოლიტიკური იდეალებისა...

როგორც ხედავთ, ის გარემოება, რომ საქართველო სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა, არავის არ გამოუყენებია ჩვენში იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველოში მრეწველობა არ აყვავდება ან არ უნდა აყვავდესო. ამ გარემოებას ჭავჭავაძე და მისი ჯგუფიც კი, როგორც დავინახეთ, მხოლოდ იმდენათ იყენებდენ, რომ მთავრობისთვის სამეურნეო სკოლების უპირატესობა დაემტკიცებიათ. მხოლოდ წარსული საუკუნის მიწურულში ზოგიერთმა ქართველმა პუბლიცისტებმა. რუსის ნაროდნიკების მიმბაძველობით, წამოაყენეს საკითხი იმის შესახებ, რომ საქართ.-ში კაპიტალიზმი არ არის და არ განვითარდება და ჩვენ თავიდან ავიშორებთ კაპიტალიზმის ყველა უარყოფით მხარეებსო.

ამით ებრძოდენ მესამე დასელების პუბლიცისტებს „ივერიისა“ და „მოამბის“ მწერლები: ალ. ნა—ლი, ლალი, კაერემენი და ვ. წ.

ეს იყო მას ჟამსა შინა. მაგრამ წარვიდენ დრონი. საქართველოს დაუდგა განახლების ეპოქა. ის, რაც გუშინ არა თუ ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგების—თვით, მესამე დასელების მწერლების მდიდარი ფანტაზიისთვისაც კი მიუწდომელი იყო, დღეს ის საქმეთ, ცხოვრების სინამდვილეთ იქცა... დღეს ჩვენა გვაქვს — ზაჰესი, რიონჰესი... ჩვენ უძლიერესი საძირკველი ჩაუყარეთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ განვითარების საქმეს. ხალხი და ხელისუფლება ხელი-ხელ ჩაკიდებული, ნერვებ-დაჭიმული აშენებენ როგორც სასოფლო მეურნეობის, ისე მსხვილი მრეწველობის საძირკვლებს...

აბა, ასეთ დროს ვინ იფიქრებდო, რომ ეს ჩვენი ძველი ნაცნობი, ჭლექიანი, ეს თავგარუმბული და ფეხებ დამსლეული რახიტიკა ოდესღაც ეკონომიურ აზროვნებად მიჩნეული ტიკინი დღესაც ცოცხალი იქნებოდა, რომ ეს რაღაც კომშმარისებული არსება დღესაც მოგვევლინებოდა..

მაგრამ რას იზამთ? ტყუილად კი არ ამბობს გერცენი: დრომოჭმული და განწირული იდეა ოდესმე კიდევ მოევლინება თავის ადეპტებს, როგორც ჯვარცმული ქრისტე მოევლინა თავის მოწაფეებსო.

ეს დიდი ხნიდან დასამარებული იდეია ხელ-ახლად ამდგარა მკვდრეთით. მაგრამ არ გეგონოთ, რომ ის დღესაც ბნელი დაძრწოდეს, ან ჩრდილთა შორის იმალებოდეს. პირიქით, ამ რახიტით დასნეულებულ იდეიას ჩვენი ეკონომიური აზროვნების საზომი **„საქართველოს ეკონომისტ“**-ში მოუპოვებია საიმედო ბინა. მას უკვე აულია ეს ჩვენი ეკონომიური აზროვნების ციხესიმაგრე და იქიდან გადმოგვყურებს არა ძველი მორცხვობითა და კდემამოსილებით, არამედ როგორც მსაჯული, ჩვენი ჭკუის მასწავლებელი, რომელიც ცდილობს გაგვარკვიოს რთულ ეკონომიურ პრობლემებში.

არა გჯერათ. მაშ აიღეთ „საქართველოს ეკონომისტი“-ს № 1 (17), 1928 წლისა. გადაიკითხეთ მოქ. ს. დევდარიანის წერილი: „საქართველოს ეკონომიკის საკითხები“. აი ამ წერილში თქვენ დაინახავთ იმ უფხო და უსინათლო იდეიის სრულ რესტავრაციას, სრულ გამართლებას.

დასახელებული წერილის ავტორი კითხვას აყენებს: „სასოფლო მეურნეობისკენ, თუ მრეწველობისკენ აქვს საქართველოს შესაძლებლობა? მსხვილ მრეწველობის ქვეყნად გადაიქცეს, თუ ის უნდა დარჩეს მხოლოდ ნედლეულის არეთ და ნედლ მასალას უგზავნიდეს სხვა ქვეყნების მრეწველობას?“.

ამის შემდეგ ავტორი არჩევს ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის თითქმის ყველა დარგებს და ასეთ დასკვნას აკეთებს:

„მსოფლიო ბაზრის და ჩვენი წარმოების წესის დღევანდელ პირობებში საქართველოს მთავარ ბუნებრივ სიმდიდრეს ვერ ექნება მიმზიდველი ძალა უცხოეთის კაპიტალისტისთვის, ვერ მიეცემა ამ სიმდიდრეს ისეთი საექსპორტო მნიშვნელობა, რომ თავის მხრივ საფუძვლად დაედოს ჩვენში კაპიტალის დაგროვებას და ჩვენი მსხვილი მრეწველობის განვითარებას“.

დასკვნა? დასკვნა ასეთია **„საქართველო უნდა დარჩეს ნედლეულის არეთ და ნედლი მასალას უგზავნიდეს სხვა ქვეყნების მრეწველობას“.**

მოქ. ს. დევდარიანმა ცოტა დააგვიანა. მას რომ ასეთი რამე დაეწერა თვითმპყრობელობის დროს, ეს მართლაც რომ სულზე მისწრება იქნებოდა მაშინდელ ხელისუფლების ეკონომიური პოლიტიკის გასამართლებლად. მოქ. ს. დევდარიანის ასეთ აზრებს არა ნაკლებ გასავალი ექნებოდა მენშევიკების ხელისუფლების დროს, როცა ევროპის იმპერიალისტების მსუნაგი წარმომადგენელები მშიერ მგლებსავით დაეტაკენ დასატაცებლად ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს. საფრანგეთი—აბრეშუმს, იტალია — კახეთის ღვინოებსა და მევენახეობას... თვით იტალიის ტახტის მემკვიდრე პრინცი სავოიელი გეოლოგების მთელი შტატით წაბრძანდა ტყვარჩელში ჩვენი ნახშირის დასათვალიერებლად, რასაც, როგორც ვიცით, მენშევიკების მთავრობასა და იტალიას შორის ხელშეკრულების დადებაც მოყვა.

აი, ასეთ დროს სწორედ რომ სულზე მისწრება იქნებოდა მოქ. ს.დევდარიანის რეცეპტი. აი, იქ იპოვიდა გამართლებას საქართველოსთვის ის ყოვლად მიუღებელი დებულება, რომლის ძალითაც ჩვენი ქვეყანა „უნდა დარჩეს მხოლოდ ნედლეულის არეთ და ნედლ მასალას უგზავნიდეს სხვა ქვეყნების მრეწველობას“, ან უფრო გასაგები ენით რომა ვთქვათ: საქართველო უნდა გადაიქცეს კაპიტალისტური ქვეყნებისთვის ნედლეულობის მიმწოდებელ კოლონიათ, ესე იგი კაპიტალისტური სახელმწიფოს საწველ ფურად.

მადლითა და შეწევითა ოქტომბრის რევოლიუციისა ეს გარემოება სულ ერთიანად შეიცვალა. დღეს თვითონ ჩვენ ვამუშავებთ ჩვენს ნედლ მასალას. დღეს ჩვენ ამ ნედლი მასალის ადგილებში ვქმნით ფაბრიკებსა და ქარხნებს. ჩვენ თვითონ აქ, ადგილობრივ, ვამუშავებთ ჩვენს ზარიტს, ჩვენს აბრეშუმს, ჩვენს ხე-ტყეს, ჩვენს მატყლს.

აი, რა მხრით არის დღეს მიმართული ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა. აი, რა გზით მივდივართ ჩვენ. მაშ, რა შუაშია აქ საქართველოს „ნედლეულის არეთ გადაქცევა“, მისი მასალის „სხვა ქვეყნების მრეწველობისთვის გაგზავნა“?.

**ღარიბი.**

# ნიკო ნიკოლაძის ხსოვნას

გარდაიცვალა დამსახურებული საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე. მისი მოღვაწეობა იწყება სამოციან წლებში და გრძელდება თითქმის სიკვდილამდე. მთელი ამ ხნის განმავლობაში ნ. ნიკოლაძეს ჩვენს საზოგადოებაში მუდამ თვალსაჩინო ადგილი ეჭირა და მისი პოპულიარობაც დიდი იყო.

მისი მოღვაწეობა ხანგრძლივი და მრავალმხრივი იყო და მოკლე ნეკროლოგში სავსებით დაფასება შეუძლებელია. აღვნიშნავთ მხოლოდ მთავარ მომენტებს.

სამოციანი წლები, როგორც რუსეთში ისე ჩვენში იყო აღორძინების ხანა და ნიკო ნიკოლაძის თაობას არგუნა ბედმა განახლებული ცხოვრებისათვის ბრძოლა და მისი სამსახური.

მას შეგნებული ქონდა რომ ახალ ხანას საფუძვლად უნდა დაედვას ახალი ეკონომიკა, რომ ამ ეკონომიკის განმტკიცება არის თავდები და დასაყრდენი ერისა და მისი კულტურის განვითარებისა, და ამ საქმეს ემსახურებოდა განსვენებული მთელი თავის სიცოცხლის განმავლობაში, როგორც ნიჭიერი პუბლიცისტი და პრაქტიკული მოღვაწე.

საქართველოს ცხოვრება უკვე მჭიდროთ იყო შეკავშირებული რუსეთის ცხოვრებასთან, მის ბედთან და ნიკო ნიკოლაძეც, როგორც პუბლიცისტი და როგორც ეკონომიურ დარგში მოღვაწე, გამოდის სარბიელზე სრულიად რუსეთის მასშტაბით. ამის ნებას და საშვალებას აძლევს მას მისი ნიჭი და ტრადიცია. იგი წერს როგორც ქართულს, ისე რუსულ ჟურნალ-გაზეთებში, ხშირად თვით არის გამომცემელი და მთავარი ხელმძღვანელი („ობზორ", „ნოვოე ობოზრენიე"); თანამშრომლობს რუსეთის დიდ ჟურნალებში. ამ მხრით ის იშვიათი ქართველია, მას ბედმა არგუნა გერცენის და ჩერნიშევსკის თანამშრომლობა...

ეკონომიურ სფეროში ნ. ნიკოლაძის დამსახურების აღსანიშნავად საკმარისია გავიხსენოთ, რა საქმეებთან ქონდა მას კავშირი, რა გაკეთდა მისი მონაწილეობით ან მისი ინიციატივით. ასეთებია: ამიერ-კავკასიის რკინი გზა (ფოთი-თბილისი), ტყვიბულის ქვა-ნახშირი და რკინის გზა, ჭიათურის შავი-ქვა და რკინის გზა, თბილისის და ბაქოს წყალსადენები, ბაქო-ბათომის ნავთსადენი და საზოგადოთ ნავთის მრეწველობისა და მისი ექსპორტის საქმე; ფოთის ნავთსადგური, საქართველოს და ამიერ კავკასიის ელექტროფიკაციის საქმე, კავკასიის უღელტეხილის რკინის გზის საკითხები და სხვ.

ასეთი იყო ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობის მთავარი ხაზები! და მიუხედავათ იმისა, რომ იგი ჩვენ საწინააღმდეგო სოციალურ ბაზას ეყრდნობოდა და სხვა პოლიტიკურ მრწამს აღიარებდა, ჩვენ მაინც მადლობით უნდა აღვნიშნოთ მისი ნაყოფიერი. მოღვაწეობა.

X.

# ქართველი გლეხობა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ევროპის საზოგადოებრივი აზრი, არა ერთხელ მოწამლულა ქართველი ემიგრაციის ლიდერების მიერ გავრცელებულ ჭორებით, არა ერთხელ თქმულა და დაწერილა მათგან, რომ ძალით მოვლენილმა რუსულმა ბოლშევიზმა ქართველ ხალხს დაურღვია მშვიდობიანი მეურნეობა, ალებ-მიცემობა, ოჯახი, სკოლა, სარწმუნოება და სხვა. საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავზე მათ კიდევ ყოფნით გამბედაობა სთქვან: საქართველოში კომპარტია ყველაფერია, ხოლო დანარჩენი მოსახლეობა არაფერი—უკანასკნელნი უფლება - აყრილი, ქონებას მოკლებული, უბედურნი, პოლიტიკურად დამონებულნი, მშიერი ხალხიაო.

ჟორდანია-რამიშვილი აბესალომ პრალელს თავის ცნობილ სადირექტივო წერილში სხვათა შორის, სწერდა: მომაწოდეთ ცნობები მუშებისა და გლეხთა მდგომარეობის შესახებ. რა სახისაა გადასახადები სოფლად, რაოდენობა მისი და იკრიბება თუ არა ის მათრახების ქვეშო. სადირექტივო წერილის თვითეულ, მუხლს ჩვენ თავის დროზედ გავეცით ამომწურავი პასუხი. ჩვენი მიზანია მხოლოდ მოკლედ გავაშუქოთ სახე დღეს არსებულ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, მისი შემოსავლის კვალობაზე გამოანგარიშება და სოფლის ღარიბესი და მცირე შეძლების მქონე მოსახლეობის მიმართ გადასახადის სიმძიმის სწორედ და სამართლიანად განაწილების წესი.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სისტემა და მისი ყოველწლიური ცვალებადობა დაკავშირებული არის სოფლის მეურნეობის თანდათანობითი ზრდასთან.

სასოფლო - სამეურნეო გადასახადის საფუძველს ფინანსიურ ინტერესების გარდა შეადგენს პოლიტიკური ინტერესებიც. ამ გადაახადის სისწორით და სამართლიანი ჩატარებით თითქმის მთლიანად იწურება საბჭოთა ხელისუფლების მთელი საგადასახადო პოლიტიკა სოფლად. სამეურნეო გადასახადის უმტკივნეულოდ ჩატარება, როგორც მმართველ სახადასახადო აპარატის, ისე ადგილობრივ (თემალმასკომების) ორგანოთაგან მოითხოვს დიდს სიფხიზლესა და სიფრთხილეს, რადგან მათ მიერ გადადგმულ თვითეულ ნაბიჯს სოფლის მეურნეობისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ეკონომიკის განვითარების საქმეში.

საქართველოს გასაბჭოების პირველ პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო სათანადოთ ჩამოყალიბებული და განმტკიცებული საფინანსო ორგანოები, მეურნეობა განადგურებული და ფულის კურსის ცვალებადობა კინემატოგრაფიული სისწრაფით მოძრაობდა, ჩვენი გლეხობა სასურსათო გადასახადის სახით ჩაბმული იყო სახელმწიფოს ახალ საფუძვლებზედ დაწყებულ საქმეში—იგი ნატურით აძლევდა მთავრობას თავის ნაწარმოების ნაყოფს.

გადასახადის შემოღება ნატურით საჭირო იყო და აუცილებელი იმ დროს. ამ გადასახადის სახით ღებულობდა მთავრობა რეალურ ღირებულებას, ის არ მცირდებოდა მანეთის კურსის დაცემის მიხედვით. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფო ბიუჯეტისათვის — უმთავრესად, ჯარისა და მუშა-მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად.

ტეხნიკურად რთული და ძნელად გასატარებელი მრავალსახიანი სასურსათო გადასახადი 1922 წელში შეიცვალა ერთიანი ნატურალური გადასახადით. ამ გადასახადის გამოანგარიშება და მისი განაღდება სწარმოებდა ძირითადი პროდუქტების (ნაწარმოების) მიხედვით.

ცვლილება, რომელიც შეიტანა მთავრობამ ნატურალურ გადასახადის სისტემაში,—შეცვლა გადასახადისა ფულადი ეკვივალენტით—არის პირველი მერცხალი ამ მიმართულებით. ეს სიახლე ამჟღავნებს ცხოვრების არსებითს მოთხოვნილებას, აშკარად ხდის სოფლისა და ქალაქის ეკონომიურ ურთიერთობის გამოცოცხლება-გაჯანსაღებას.

საკავშირო მთავრობის მიერ მიღებულ გონიერ ღონისძიებების გამო ქვეყნის გაპარტახებული ეკონომიკა წელში გაიმართა და სოფლისა და ქალაქის მეურნეობა აღორძინების ინტენსიურ გზას დაადგა. საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკურ და ეკონომიურ ფრონტებზედ გამარჯვებას მოყვა ფულის კურსის სტაბილიზაცია. ამიერიდან ფულის კურსით განმტკიცებულ სახელმწიფოსათვის სოფლის გადასახადის ნატურით გაღება შეუფერებელი გამოდგა და 1923 წლიდან შემოღებულ იქნა ერთი მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი — ნაცვლად მრავალფეროვან გადასახადებისა.

სას.-სამეურ. გადასახადით სოფლის მეურნეობის დაბეგვრას ეძლევა მტკიცე საფუძველი, ე. ი. დაბეგვრა ხდება მისი შესაძლებლობის და გადასახადის გადახდის უნარიანობის მიხედვით. გლეხის მეურნეობისა და მისი ეკონომიური მდგომარეობის საფუძვლიანად გამოსარკვევად ყოველ წელს სწარმოებს აღწერა ანუ აღნუსხვა იმისი, თუ რამდენი აქვს ამა თუ იმ მოსახლეს სახნავი მიწა, ვენახი, ბაღი, სათიბი ან სხვა რაიმე ტეხნიკური კულტურა, რამდენი ყავს მას მუშა-საქონელი, ან მეწველი, წვრილფეხა საქონელი, აქვს თუ არა მეურნეობას მიწის გარეშე სხვა რაიმე შემოსავალი ფულად, ან ნატურით, რამდენი სულია ოჯახში და საერთო რი-

ცხვიდან რამდენი შრომის უნარიანი და რამდენი მჭამელი.

აღნიშნულ ცნობების სწორი დამუშავებით იბეგრება მეურნეობა მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით წელიწადში ერთხელ და სხვა გადასახადს მთავრობა გლეხებისაგან არ ღებულობს. რაღა თქმა უნდა, გადასახადის გაწერა და მისი უმტკივნეულოდ აკრეფა არ შეიძლება, თუ მუშაობა ზემოაღნიშნულ გადასახადით დასაბეგრ ობიექტებისა არ იქნა სისწორით შესრულებული, ვინაიდან შემდგომი მოქმედებანი აგებულია ამ ობიექტების სისწორით აღრიცხვაზე. რომ თავიდან აცილებულ იქნეს საჩივრები ამ მიმართულებით და მთავრობის ყოველგვარ განკარგულებას სასურველი შედეგი მოყვეს გლეხობაში—თვით ადგილობრივ ორგანოებისა (თემაღმასკომები და სოფლის საბჭოები) და საგადასახადო აპარატის მიერ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება და გაორკეცებული ენერგია, რომ მშრომელ მოსახლეობის ქონების აღწერა ხდებოდეს სისწორით და ყოველგვარ შეცდომების გარეშე. ამ საქმეში გლეხობა დაეხმარება ხელმძღვანელ საგადასახადო აპარატს, რადგან ის თვითვეა დაინტერესებული სამეურნეო გადასახადის სისწორით და უმტკივნეულოდ ჩატარების საქმეში. გარდა ამისა, გადასახადიდან დაგროვილ თანხიდან თემის ბიუჯეტში გადადის 66 სამი-მეოთხედი პროც., რაც თემის კულტურულ და ეკონომიურ აღორძინებაზე იხარჯება მათივე კონტროლის ქვეშ.

სამეურნეო გადასახადის დებულება ფრიად საყურადღებოა მით, რომ მასში აშკარად გამოიხატება კლასობრივი მიდგომის პრინციპი. დებულებაში გარკვეულად არის გატარებული ის დედა აზრი, რომ სამეურნეო გადასახადი გამომხატველია საბჭოთა ხელისუფლების მიერ წარმოებულ პოლიტიკისა სოფლად.

განაწილება გადასახადის განაკვეთის ხდება სოციალურ დაჯგუფებათა მიხედვით, რაიც ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას, ანთავისუფლებს გადასახადისაგან ღარიბს და საერთოდ მცირე შეძლების გლეხობას, უმსუბუქებს გადასახადს საშუალო ქონების მეურნეს და გადასახადის მთავარი სიმძიმე გადააქვს სოფლის შეძლებულ და კულაკურ ელემენტებზე.

ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავზე საკავშირო ცაკის საიუბილეო სესიის დადგენილებით ყოველწლიურად განთავისუფლდა გადასახადისაგან სოფლის ღარიბი მოსახლეობის 35 პროცენტი, რაც აშკარად ადასტურებს იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლების სამეურნეო გადასახადის დებულების სისწორით და სამართლიანი გატარებით გადასახადის მთელი სიმძიმე გადააქვს სოფლის შეძლებულ ელემენტებზე.

სამეურნეო გადასახადში კლასობრივი პრინციპის გამოსარკვევად მაგალითისათვის საკმარისია მოვიყვანოთ სამი მეურნეობის სხვადასხვა შემოსავლიანობა და გავუკეთოთ ანალიზი თუ როგორ გაეწერა ასეთ მეურნეობას გადასახადი თუნდაც მიმდინარე 1927—28 სამეურნეო წელში.

მაგალითად, **მეურნეობა პირველი** შესდგება 5 სულისაგან და წლიური შემოსავალი აქვს 150 მანეთი.

**მეურნეობა მეორე**— ამავე პირობებშია ოჯახური მდგომარეობის მიხედვით და შემოსავალი აქვს— 300 მანეთი.

**მეურნეობა მესამე**— ოჯახური შემადგენლობით ამდენივეა და შემოსავალი წლიურად აქვთ 450 მანეთი.

ამნაირად, **მეურნეობა მეორეს** ორჯერ მეტი აქვს შემოსავალი და მესამეს სამჯერ მეტი,—ვინემ პირველს.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთი პირველი მეურნეობისათვის უდრის 3—50 კ.-ს; მეორესათვის 19—50 კ.-ს; ხოლო მესამესათვის 52 მანეთს. ამნაირად, პირველ მეურნეობაში გლეხის გადასახადი შეადგენს მთელი მეურნეობის წლიური შემოსავლის — 2 პროცენტს, მეორეში 6 პროცენტს და მესამეში კი— 12 პროცენტს.

როგორც ვხედავთ, სამეურნეო გადასახადის სახით საბჭოთა ხელისუფლება დიდ ანგარიშს უწევს უმთავრესად დასაყრდენობ სოფლის მეურნეთა ნაწილს—ღარიბებს და საშუალო შეძლების გლეხობას.

ქვეყნის აღმშენებლობაში— გზადაგზა ჩვენ ვხედავთ რომ საბჭოთა ხელისუფლების სამეურნეო და პოლიტიკურ ფრონტებზედ გამაგრებით მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი თანდათანობით მცირდება.

მაგალითად: 1923—24 წელში საქართველოში მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გაწერილი იყო 311. 522 მეურნეობაზე 2,114.758 მანეთი, საშუალოდ თვითეულმა მეურნემ გადაიხადა 6—78 კ., და 1927—28 წ. 436.064 მეურნეობაზე გაიწერა 2,190,218 მანეთი, მიმდინარე წელს თვითეული მეურნე იხდის **საშუალოდ— 5—02 კ.-ს.**

სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულთა %% ასეთია: 1924—25 წელში 22 პროც., 1925—26 წ. 32 პროც., 1926—27 წ. 61 პროც., ხოლო 1927—28 წელში—45 პროცენტი.

როგორც ვხედავთ, სამეურნეო გადასახადის დებულებაში სავსებით დაცულია კლასობრივი პრინციპი.

მაგრამ ეს არაა საკმარისი. ჩვენი იდეალია ქალაქის მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის განვითარება კოლექტივიზაციის საშუალებით. სოფლად საწარმოო კოლექტივების შემოსავლიანობით უნდა დაიფაროს ყველა საჭირო ხარჯები და არა გადასახადებით. დასახულ მიზნის შესრულებას საკმაო დრო უნდა, მანამდე კი ჩვენი ვალია გავუადვილოთ გლეხობას თავისი მოვალეობის პირნათლად შესრულება ხელისუფლების წინაშე. აქეთკენ უნდა იყოს მიპყრობილი საგადასახადო აპარატებში, მომუშავე ხელმძღვანელ ამხანაგების მთავარი ყურადღება და ენერგია.

ა. ვადაჭკორია.

# მათი სიტყვა და საქმე

მსოფლიო ომიდან სხვებთან ერთად ინგლისიც გამარჯვებული გამოვიდა, მაგრამ ამ გამარჯვების ნაყოფით მან მაინც ვერ შესძლო წინანდელი ბატონობის აღდგენა, კოლონიალურ ქვეყნებში. ამის მიზეზი იყო ორი გარემოება: პირველი ის, რომ ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც დაგვიანებით ჩაება მსოფლიო ომში, ამ ომიდან უაღრესად გამდიდრებული გამოვიდა და თუ მანამდის შეერთებული შტატები დიდ მეტოქეობას არ უწევდა ინგლისს მსოფლიო ბაზარზე ბატონობისათვის, ომის შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა და ამერიკა გახდა ერთადერთი მთავარი კონკურენტი მსოფლიოში ინგლისის ბატონობისათვის.

მეორეს მხრით, მსოფლიო ომს შედეგად მოყვა ჯერ თებერვლის და შემდეგ ოქტომბრის რევოლუციები რუსეთში, რომელმაც გადმოისროლა ლოზუნგი დაჩაგრულ ერთა მონობისაგან გასანთავისუფლებლად. ამ ლოზუნგმა ძლიერი გამოხმაურება, პირველ ყოვლისა, ჰპოვა ინგლისის იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრულ ერებში.

აღმოსავლეთის ჩაგრულ ერთა განთავისუფლების საქმეში—ოქტომბრის რევოლუციამ გადამჭრელი როლი ითამაშა. ოსმალეთი, სპარსეთი, ეგვიპტე, ავღანისტანი და ჩინეთი—აი, ის ქვეყნები. რომლებიც ოქტომბრის რევოლუციის იმედით გათამამებულნი შეებრძოლენ თავიანთ მჩაგვრელ ინგლისის იმპერიალიზმს და საბჭოთა კავშირის მორალურ დახმარებით თანდათანობით ინთავისუფლებენ თავს მონობისა და ჩაგვრისაგან.

მართალია, ზემოხსენებულ ერთა შორის ყველამ ჯერ

კიდევ ვერ მიაღწია საბოლოო გამარჯვებას, მაგრამ არის სრული საბუთი, განვაცხადოთ, რომ ამ ქვეყნებში მალე სავსებით მოეღება ბოლო ევროპის იმპერიალიზმის და პირველ რიგში კი ინგლისის ბატონობას.

თითქმის ასეთივე მდგომარეობაა დანარჩენ კოლონიალურ ქვეყნებშიც. რომ შევადაროთ დღევანდელი ინდოეთის მდგომარეობა ამ ათი-ხუთმეტი წლის წინად არსებულს, აშკარად დავინახავთ, რომ ეს უზარმაზარი ქვეყანაც გამოღვიძების გზაზეა შემდგარი და იქ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საკმაოდ სწრაფი ნაბიჯით ვითარდება. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს ინდოეთის ხალხის ბრძოლა ინგლისის საპარლამენტო კომისიასთან, რომელსაც დავალებული აქვს ინდოეთში კონსტიტუციის გადასინჯვა და იქ „რეფორმების“ გატარება.

ინგლისის იმპერიალიზმი რომ ძველებურად ველარ ახერხებს თავისი პოლიტიკის გატარებას, ეს კიდევ იქიდანაც სჩანს, რომ სპარსეთისა და ეგვიპტის მთავრობებმა მას საკმაოდ მაგარი მუშტი მოუღირეს და სრულებითაც არ დაეთანხმენ ინგლისის მთავრობის მიერ მოთხოვნილ პირობებს, რომლითაც საგრძნობლად ილახებოდა ამ ერების დამოუკიდებლობა და სუვერენობა.

ამის შემდეგ არ არის საკვირველი, რომ ინგლისის იმპერიალიზმი ეძებს გამოსავალს ასეთი მდგომარეობიდან. თავისი ბატონობის ალსასრულის მოახლოვებას ის მთლიანად აწერს საბჭოთა კავშირის არსებობას და დღე-დღეზე ილესავს კბილებს მის წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

ჯერჯერობით ვერ გამოიღო ინგლისის იმპერიალიზმისთვის სასურველი ნაყოფი იმ ცდებმა, რომლითაც მას სურდა ევროპის სახელმწიფოებიდან შეექმნა ანტისაბჭოთა ბლოკი და ასეთი მთლიანი ფრონტით მოეწყო გალაშქრება საბჭოთა კავშირზე. ამ იდეის განხორციელებას საკმაოდ დიდი დაბრკოლებები ელობებოდა წინ თვით ევროპის სახელმწიფოთა შორის არსებული წინააღმდეგობებით.

სამაგიეროდ ამჟამად ინგლისის იმპერიალისტების ყურადღება მიპყრობილია ახლო აღმოსავლეთზე და პირველ რიგში კი ავღანისტანის საზღვარზე. კარგა ხანია, რაც ინგლისი ამ ქვეყნის საზღვარზე გაფაციცებით აწარმოებს სამხედრო მზადებას, რომლის პირდაპირი მიზანია აღმოსავლეთის მხრიდან საბჭოთა კავშირზე გალაშქრება, მაგრამ ამ გეგმის სისრულეში მოყვანას წინ ელობება ავღანისტანის დამოუკიდებელი არსებობა, რომელმაც სწორედ ოქტომბრის რევოლიუციის წყალობით გაინთავისუფლა თავი ინგლისის ბატონობისაგან. დღეს ავღანისტანი წარმოადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რომლის მოსახლეობა და მმართველი წრეები ღრმად არიან დარწმუნებული, რომ თუ არა ოქტომბრის რევოლიუცია, მათი ქვეყანა კიდევ დიდხანს დარჩებოდა ინგლისის იმპერიალიზმის ქუსლის ქვეშ. სწორედ ამიტომ არის, რომ ავღანისტანს ნორმალური და კეთილმეზობლური ურთიერთობა აქვს საბჭოთა კავშირთან, რომელიც განხორციელებულია სამეგობრო ხელშეკრულების ნიადაგზე.

ასეთი კეთილმეზობლური ურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის ძილს უფრთხობს და მოსვენებას არ აძლევს ინგლისელ კონსერვატორებს და მთელი ძალღონით ცდილობენ საბჭოთა კავშირსა და ავღანისტანს შორის წყლის ამღვრევას და ამით თავისი სასარგებლო საქმეების მოჭახრაკებას.

ასეთი იმედები მათ კიდევ უფრო აღეძრათ ავღანისტანის ფადიშახის ინგლისში ჩასვლით. როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ავღანისტანის ფადიშახი ორ თვეზე მეტია, რაც მოგზაურობს აზიისა და ევროპის ქვეყნებში, მისი მოგზაურობის გეგმაში შედის აგრეთვე საბჭოთა კავშირის ნახვაც. ინგლისელი ლორდები დიდი ზეიმითა და აღტაცებით მიეგებენ ფადიშახის ინგლისში ჩასვლას. გაზეთებმა მას უძღვნეს მეგობრული კილოთი დაწერილი წერილები, რომელშიაც აღნიშნავდენ, რომ ინგლისი დიდი პატივისცემითა და თანაგრძნობით ეპყრობა ავღანისტანის დამოუკიდებლობას და ურჩევდნენ ფადიშახს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა დაემყარებია ინგლისთან. ამასთან დაკავშირებით, ბურჟუაზიული გაზეთები უმტკიცებდნენ მას, რომ ის არ გამგზავრებულიყო მოსკოვში, ვინაიდან ამით ფადიშახი საფრთხეში აგდებდა საკუთარ თავს..

ბურჟუაზიული გაზეთების ასეთი შეხმატკბილებული ტონი დაარღვიეს მხოლოდ კომუნისტურმა და მემარცხენე მუშათა პარტიის გაზეთებმა. ინგლისის მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთის ორგანომ „სიდნეი უორკერსმა“ ღია წერილით მიმართა ავღანისტანის ფადიშახს, რომელშიაც სხვათა შორის სწერდა: „ჩვენ როგორც ინგლისის მშრომელი მასების წარმომადგენლები, გიცხადებთ, რომ თქვენ არაფერი საერთო არ უნდა გქონდეთ მკვლელთა და ექსპლოატატორთა კლასთან, რომელიც დღეს პოლიტიკური მოსაზრებით გელოლიავებათ, ხვალ კი თავის იმპერიალისტურ ზრახვების განსახორციელებლად შეეცდება გაანადგუროს ავღანისტანის თავისუფლება. იმ დიდ მუშაობაში, რომელსაც თქვენ ახორციელებთ, თქვენ იმედი უნდა გქონდეთ არა იმპერიალისტური ინგლისის პრინცების, გენერლების და მინისტრების, არა ინგლისის ჯარების ავღანისტანის საზღვართან, არამედ თქვენ დახმარება და ხელმძღვანელობა უნდა ეძიოთ თავისუფალ მუშებისა და გლეხების დიად რესპუბლიკაში, რომელიც მდებარეობს თქვენი საზღვრების ჩრდილოეთით“.

თავისთავად ცხადია, გაზეთს მხედველობაში აქვს საბჭოთა კავშირი, რომელიც მართლაც საქმით და არა ცარიელი სიტყვებით იცავს ჩაგრულ ერების თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. მართლაც ავღანისტანი თუ შეინარჩუნებს მოპოებულ თავისუფლებას, ამას ის შესძლებს მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა კავშირთან მჭიდრო თანამშრომლობით და დღეს ინგლისში მყოფ ავღანისტანის ფადიშახმა კარგად უნდა გაითვალისწინოს ინგლისის მმართველი წრეებისა და ბურჟუაზიული გაზეთების მორიგი თვალთმაქცობა.

იმ დროს, როდესაც ავღანისტანის ფადიშახს ასე ტკბილ საუბრებს და პატივსადებ მიღებას უმართავენ ინგლისის იმპერიალისტები, ავღანისტანის საზღვარზე ერთის წუთითაც არ შენელებულა ის სამხედრო მზადება, რომელსაც ინგლისი იქ კარგა ხანია აწარმოებდა.

გამოქვეყნებულ ცნობების მიხედვით, უკანასკნელ ხანებში ძალიან გაცხოველდა ინგლისელების სამხედრო მზადება ინდო-ავღანისტანის საზღვარზე. და განა ამის შემდეგ რაღა ფასი და მნიშვნელობა აქვს ინგლისელ იმპერიალისტების პირმოთნეობას, რომ ისინი პატივისცემით ეპყრობიან ავღანისტანის დამოუკიდებლობას? ვის წინააღმდეგ არის მიმართული პირველ რიგში ინგლისის საომარი სამზადისი თუ არა ავღანისტანის?

საბჭოთა კავშირის დასავლეთ საზღვარზე იმედგაცრუებულ ინგლიის იმპერიალისტებმა თავიანთი სამოქმედო ბაზა ინდოეთ-ავღანისტანის საზღვარზე გადაიტანეს. აქედან სურთ მათ გამოილაშქრონ მშრომელთა რესპუბლიკების წინააღმდეგ და რადგან ამ გეგმის განხორციელებას წინ ელობება დამოუკიდებელი ავღანისტანის არსებობა, ლამობენ ამ ქვეყნის ან თავის მხარეზე გადაბირებას, რომ ავღანისტანმა ნება დართოს ინგლისის სამხედრო ძალებს თავის ტერიტორიაზე გავლის, ან და ძალით გადალახონ დამოუკიდებელ სახელმწიფოს საზღვრები და გამოილაშქრონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. შეუძლებელია, რომ ავღანისტანის მმართველი წრეებისათვის რომელიმე ვერსია მისაღები გამოდგეს, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ფაქტიურად მოისპობა ავღანისტანის დამოუკიდებლობა და ეს ქვეყანა კვლავ ჩავარდება ინგლისის ბატონობის უღელქვეშ.

მართალია, ამ გეგმის განხორციელებას მოკლე

დროში ვერ შესძლებს ინგლისის მთავრობა, მაგრამ მისი გეგმა საბოლოოდ აქეთკენ არის მიმართული.

მაშ, რა გზას უნდა დაადგეს ავღანისტანი?

მისთვის ერთად-ერთი გამოსავალია საბჭოთა კავშირთან კიდევ უფრო მჭიდროთ დაკავშირება, მან მთელი თავისი ყურადღება ამ საქმის განხორციელებას უნდა მოანდომოს. საბჭოთა კავშირი ერთადერთი ძალაა დღეს მთელ მსოფლიოში, რომელიც მოწოდებულია ჩაგრულ ერებისა და გაყულეფილთა კლასების ინტერესების დასაცავად და ვისაც სურს, რომ თავი გაინთავისუფლოს იმპერიალისტური მონობისაგან, მან თავისი გეზი სწორედ საბჭოთა კავშირისაკენ უნდა მიმართოს. მით უმეტეს ასეთ ხაზს უკარნახებს ავღანისტანს დღეს მის საზღვრებზე შექმნილი მდგომარეობა.

ეჭვი არ არის, რომ ავღანისტანის მმართველ წრეებს კარგათ აქვთ გათვალისწინებული ასეთი მდგომარეობა და მათ თვალს ვერ აუხვევს ინგლისის კონსერვატორების თვალთმაქცური სიტყვები, რომელიც ამ ქვეყანას უმზადებს მოპოებულ თავისუფლების დაკარგვას. ავღანისტანის ფადიშახის საბჭოთა კავშირში ჩამოსვლა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მათში ასეთი რწმენის განმტკიცებას, სადაც ის ნახავს თანასწორობაზე დამყარებულ ერების ძმურ კავშირს და ამ ერთა თავდადებულ მუშაობას მშრომელთა რესპუბლიკების ასაღორძინებლად.

**ს. ელიაძე .**

# პროფინტერნის გავლენა და ხელმძღვანელობა იზრდება

მსოფლიო პროფმოძრაობა ჯერ ისევ დაქსაქსულია. საკავშირო პროფსაბჭოს და კაპიტალისტური ქვეყნების რევოლიუციონური პროფორგანიზაციების ინიციატივა ამ მხრით, მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნის შესახებ, ჯერ ისევ განუხორციელებელია და პროფინტერნის პარალელურად კიდევ განაგრძობენ არსებობას ამსტერდამის ინტერნაციონალი და ამერიკის შრომის ფედერაცია, თუმცა ორგანიზაციულად რეფორმისტული გაერთიანებები აღარ წარმოადგენენ დიდ ძალას. იმ იდეურ კაპიტულიაციას და სისტემატიურ მოღალატეობას, რაც ასე ახასიათებს რეფორმისტების „მოღვაწეობას“ მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, არ შეიძლებოდა, რომ სათანადო პოლიტიკური გამორკვევა და გამოფხიზლება არ შეეტანა მუშათა მასებში, რისი შედეგიც იქნებოდა მათი რეფორმისტებისაგან ჩამოცილება — ამსტერდამის ორგანიზაციული რღვევა. ამსტერდამის ინტერნაციონალი, რომელიც 1920 წ. კიდევ ითვლიდა 24 მილიონ წევრს, ეხლა ძლივს 12 ნახ. მილ. სთვლის თავის რიგებში. მაგრამ ეს რიცხვიც არ შეიძლება, რომ მთლიანად ჩაეწეროს მას აქტივში, რადგან მისი აგრძნობი ნაწილი რევოლიუციონურ პროფმოძრაობას მიყვება და ფაქტიურად პროფინტერნთანაა დაკავშირებული, ხოლო ამსტერდამი მაინც განაგრძობს მათ აღრიცხვაზე აყვანას.

თუ რამდენად ფართო ხასიათი აქვს მიღებული ამსტერდამის იდეურ დაცემას და ორგანიზაციულ რღვევას, თუ რამდენად დიდია უთანხმოება და ანტოგონიზმი მასში შემავალ ჯგუფებს შორის, ილიუსტრაციისათვის საკმაოა გავიხსენოთ თუ გინდ მარტო ის ფაქტი, რომ ინტერნაციონალი მთელი ერთი წლის განმავლობაში ვერ აწერხებს ისეთი მარტივი ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას, როგორიცაა—ინტერნაციონალის რეზიდენციის და გენერალური მდივნის არჩევა.

ამსტერდამთან შედარებით, იდეური და ორგანიზაცული სიმტკიცის მხრივ, არც ამერიკის შრომის ფედერაციას აქვს უკეთესი მდგომარეობა. ცნობილი სოც.-იმპერიალისტის გომპერსის მიერ მონ-როეს იმპერიალისტურ პრინციპზე აგებული ამერიკის შრომის ფედერაცია, რომელსაც 26 მილიონ მუშათა არმიისაგან მხოლოდ 3 მილიონ მაღალი კვალიფიკაციის მუშათა არისტოკრატია ჰყავს გაერთიანებული ფედერაციაში. დანარჩენი 23 მილიონი მუშათა მასები პროფესიონალურ გაერთიანების გარეშე იყვენ დარჩენილი და მათ ორგანიზაციულად შეკავშირებას ამჟამად ხელმძღვანელობენ პროფინტერნთან დაკავშირებული რევოლიუციონური პროფორგანიზაციები. ფედერაციასთან მათ არა ერთხელ აღუძრავთ კითხვა მათი ორგანიზაციულად შეკავშირების შესახებ, მაგრამ ამისათვის არავის ეცალა.—კიდევ მეტი, დაბალი კვალიფიკაციის მუშების ორგანიზაციულად უკვე გაერთიანებულმა ერთმა ნაწილმა წარსულ წელსაც მიმართა ფედერაციის კონგრესს ლოს ანჟელოში, მაგრამ უარი უთხრეს, რადგან ფედერაციაში გაერთიანებულ მუშათა არისტოკრატიისათვის, რომლის სამუშაო ხელფასი 20-ჯერ მეტია მათთან შედარებით, არ იყო ხელსაყრელი ნახევრად მუშური და რევოლიუციონურად განწყობილი მუშების თავის რიგებში დაყენება და მათი ბრძოლის ხელმძღვანელობა შეერთ შტატების „ჰუმანიური“ ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე რეფორმისტული გაერთიანება ასე სუსტად, იდეურად და ორგანიზაციულად, ასე მცირეა მათი გავლენა მუშათა მასებზე, და, თითქმის მხოლოდ ნომინალური ხასიათი აქვს მათ არსებობას, მაინც დიდათ უშლიან ხელს ისინი მუშათა მოძრაობის განვითარებას და გაძლიერებას, მუშათა კლასის ბრძოლას კაპტალის წინააღმდეგ, რადგან რევოლიუციონური ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლაში ისინი გამოდიან ბურჟუაზიასთან ერთად მთლიანი ფრონტით

რეფორმისტების ხელმძღვანელები უკვე აღარც მალავენ ბურჟუაზიასთან იდეურ და ორგანიზაციულ დაახლოვებას, პირიქით, ამასვე უქადაგებენ ისინი ეხლა მასებსაც. ტრედიუნიონების გენსაბჭოს მდივანმა სიტრინმა საჯაროდ განაცხადა კონსერვატორების საყურადღებოდ: „ჩვენ გვინდა დაგეხმაროთ თქვენ კლასთა ბრძოლის მოსპობაში, მუშებთან ეკონომიური კონფლიქტების აცილებაში. თუ თანახმა იქნებით თანამშრომლობის გაწევისო“.

თვით ბურჟუაზიის წარმომადგენლებიც აღიარებენ მათ შორის დამყარებულ ასეთ კავშირს და თანამშრომლობას. ინგლისის შუბლმაგართა ყველაზე უდიდესმა რეაქციონერმა, ინდოეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა, ლორდ ბირკენხედმა შემდეგნაირად დაახასიათა მუშათა პარტიის ლიდერების დახმარება საიმონის კომისიაში, რომელიც წარმოადგენს ინდოეთის სუვერენობის გამასხარავების ნიმუშს, რასაც 400 მილიონიანი ინდოეთის ერი ერთხმად შეხვდა პროტესტით და ბოიკოტით: „მე ვერ ვნახულობ სიტყვებს, რომ ღირსეულად დავაფასო ის დიდი დახმარება, რომელიც გამიწია მე მუშათა პარტიის ლიდერებმა საიმონის კომისიის მუშაობაშიო“. ანალოგიური შეფასება მისცა რეფორმისტებთან თანამშრომლობას აგრეთვე მეორე, ბურჟუაზიისათვის არა ნაკლებმა ავტორიტეტმა, არხი-რეაქციონერმა, რაიმონდ პუანკარემ. ამ დღეებში ბორდოში წარმოთქმულ საარჩევნო სიტყვის დროს მან განაცხადა:: „რეფორმისტები წარმოადგენენ ისეთ ლოიალურ ოპოზიციას, რომლებიც არ ებრძვიან „კონსტიტუციონალიზმს“ და არც შეუქმნიან მოწინააღმდეგეს ხელისუფლებაში ისეთ სიძნელეებს, რასაც შეეძლება მთავრობის კრიზისის გამოწვევა მისი მუშაობისათვის ხელის შეშლაო“.

რეფორმისტების ბელადების პოლიტიკური დაახლოვება და თანამშრომლობა ფაშისტურ ბურჟუაზიასთან, უკანასკნელ ხანებში, ისე შორს წავიდა, რომ ჟუო-რენოდელები, რომლებიც ამსტერდამის ინტერნაციონალ-

ში მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელებათ აცხადებენ თავს, სრულიად არ გრძნობენ უხერხულობას, რომ იმპერიალისტების კონგრესებზე ოფიციალურად გამოვიდენ რეაქციონერების მანდატით, პუანკარეს იმპერიალისტური გეგმების დასაცავად.

ყოველივე ამის შემდეგ, ბურჟუაზიასთან ასეთი დაახლოვებისა და კაპიტალისტური სისტემის გადასარჩენად და დასაცავად აქტიური გამოსვლის შემდეგაც, რეფორმიზმის ხელმძღვანელები მაინც ცდილობენ, რომ ამ მორიგ გამცემლობას და ღალატს მუშათა კლასის მიმართ, მოუნახონ რაიმე თეორეტიული გამართლება და მასების შეცდომაში შესაყვანად კვლავ წამოაყენონ ახალი პაციფისტური ლოზუნგები. ამ ამოცანის გადაწყვეტა და სისრულეში მოყვანა მათთვის არც ისე ძნელი საქმე იყო. ეს თეორიები და ლოზუნგები მათ კიდეც წამოაყენეს ყველგან სხვადასხვა სახით და რედაქციით. თუ ინგლისში მაკდონალდებმა მას დაარქვეს „სამრეწველო მშვიდობიანობა“, ამერიკის რეფორმისტებმა იგი „კლასიური ჰარმონიის დამყარების“ სახელით გამოაქვეყნეს, ხოლო გერმანიის რეფორმისტებმა „სამეურნეო დემოკრატიის“ სახით აღმოაჩინეს.

ყველა ამ თეორიებს, რომლებიც ერთი მიზნით არის ყოველგან წამოყენებული, რა თქმა უნდა, ყველანი ერთნაირ დასკვნას უკეთებენ: ბურჟუაზიასთან ეკონომიური თანამშრომლობის აუცილებლობას, მის წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლაზე ხელის აღებას და სადავო კითხვების შეთანხმებით გადაწყვეტას, ესე იგი იმას, რაც უკვე განხორციელებული აქვთ რეფორმისტ ბელადებს პრაქტიკულად.

საერთაშორისო მუშათა კლასი, ისინიც კი, რომლებიც ერთ დროს რეფორმისტების ხელმძღვანელობის და გავლენის ქვეშ იყვენ, უკვე იმდენად ახლო გაეცვნენ რეფორმისტ-ბელადების „მოღვაწეობას“, რომ ასეთი პაციფისტური კომბინაციებით გაუძნელდებათ მათი კვლავ შეცდომაში შეყვანა. მუშათა მასებმა უკვე იციან, თუ ვინ არის მათ ინტერესების დამცველი და ხელმძღვანელი და ვის წინააღმდეგ უნდა იბრძოდეს იგი, და თუ ეს ბრძოლა მას ჯერ კიდევ ვერ გაუშლია საჭირო მასშტაბით, ამის მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ის პირობები, რომელშიდაც მოექცენ ისინი რეფორმისტ-ბელადების გამცემლობის წყალობით.

კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასს ამჟამად უკვე წართმეული აქვს მინიმალური უფლებებიც, რომლებიც ჰქონდა მოპოვებული ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში. ბურჟუაზიულ პარლამენტებში გაბატონებულ ფაშისტერ-რეფორმისტების ბლოკმა ყველგან დააკანონა პროფკავშირების საწინააღმდეგო ღონისძიებები.

ფაშისტური ბურჟუაზია, რომელმაც რეფორმისტ-ბელადების დახმარებით მუშათა კლასის ხარჯზე მოახერხა ფინანსიური ქაოსის აცილება და ორგანიზაციულად გამაგრება, ეხლა შეტევაზეა გადასული, რევოლიუციონური ორგანიზაციების დასაშლელად, და მათი ხელმძღვანელობის ჩამოსაცილებლათ, რათა ამით დაასუსტოს მუშათა მოძრაობა.

მაგრამ ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია. რეაქციის ეს გააფთრებული შემოტევა და ფაშისტური პოლიტიკური რეჟიმის შემოღება, შექმნილი მასიური უმუშევრობა, რაც შეერთებულ შტატებში სარეკორდო ციფრამდე 4 მილიონამდე არის ასული, როგორც ეს თვით განაცხადა შეერთებული შტატების შრომის მინისტრმა, დევისმა, ხოლო დიდბრიტანეთში უკვე 1 ნახ. მილიონს გადააჭარბა, რომლითაც მთავრობა აღარავითარ დახმარებას აღარ უწევს, მუშათა ხელფასის ფიზიკურ არსებობისათვის საკითხი მინიმუმამდე დაყვანა და სხვა მზგავსი მოვლენები, უფრო ამახვილებს მუშათა მასების რევოლიუციონურ შეგნებას და განწყობილებას, უფრო აჩქარებს მათი რევოლიუციონურ ორგანიზაციებში გაერთიანებას და რევოლიუციონური ხელმძღვანელობის შერჩევის პროცესს; მათი პროფინტერნის იდეური და ორგანიზაციული გავლენის ქვეშ დადგომას.

ამის დამადასტურებელია 3 აპრილს დასრულებული პროფინტერნის მე-4 კონგრესი, სადაც წარმოდგენილი იყო 50 სახელმწიფოს რევოლიუციონური პროფგაერთიანება, ყველა კონტინენტები, მთელი მსოფლიოს ლეგალური და არალეგალური პროფორგანიზაციები.

კონგრესის მუშაობამ, რომელმაც საბოლოოდ გაარჩია მე-3 კონგრესის შემდეგ, 4 წლის განმავლობაში, ადგილებზე დაგროვილი გამოცდილება, შეცდომები და მიღწევები და აქედან შესაფერი დასკვნების გაკეთებით გამოიმუშავა აწინდელი ბრძოლების სტრატეგია და სახელმძღვანელო დირექტივები, ყველასთვის ნათელი გახადა, რომ იგი ძლიერია ორგანიზაციულად და იდეურად, იგი ძლიერია უკვე რიცხვობრივათაც.

კონგრესის კოლექტიურმა ანალიზმა, კოლექტიურმა მიდგომამ და მუშაობამ საერთაშორისო საკითხებში და ინტერნაციონალური სოლიდარობით და რევოლიუციონური პრაქტიკით სავსე გადაწყვეტილებებმა ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ პროფინტერნი არის საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანიზაცია კაპიტალის წინააღმდეგ ისტორიული ომებში გასამარჯვებლად.

პროფინტერნს, რომელსაც ასე მტკიცედ უჭირავს ხელში ინტერნაციონალური სოციალიზმის დროშა, რომელიც დაკავშირებულია კაპიტალისტური ქვეყნების თვითეულ ქარხანასთან და ხელმძღვანელობს მის რევოლიუციონურ უჯრედს, შეუძლია პრეტენზია ჰქონდეს მსოფლიო მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობაზე და მის გამარჯვებაზე. კონგრესზე წარმოდგენილი თვითეული ქვეყნის ორგანიზაცია, კონგრესის თვითეული მონაწილე ჰგრძნობდა, რომ პროფინტერნი არის მათი ნამდვილი მედროშე, მუშათა კლასის ნამდვილი ხელმძღვანელი.

მე-4 კონგრესმა ერთხელ კიდევ ცხადჰყო, თუ როგორი სისწრაფით იზრდება პროფინტერნის გავლენა და ხელმძღვანელობა საერთაშორისო მუშათა კლასზე.

ქ. ჭეიშვილი.

# „ვილაც პეშკოვი“

### (მ. გორკის იუბილესათვის)

### IV.

საქართველოს მუშათა კლასთან, როგორც დავინახეთ, მ. გორკის აკავშირებს რევოლიუციონური წარსული. იმ დიდ მანძილზე, რომელიც მას შემდეგ გორკიმ გაიარა და რომელსაც ეწოდება „კრასნოგორსკის კომუნიდან“ კრასნოგორსკის ქუჩაზე ქ. თბილისში ცხოვრობდენ ფ. აფანასიევი, მ. გორკი და სხვები. ეს საზოგადოება მონათლულ იქნა „კრასნოგორსკის კომუნად“), სრულიად რუსეთის დიდი კომუნამდე თბილისსა და მის მუშათა კლასს უეჭველად ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

თბილისში მოხდა მ. გორკის ლიტერატურული დებიუტი. აქ დაიბეჭდა მისი პირველი მოთხრობა „მაგარ ჩუდრა“, რომლის დაბეჭდვა ვერ გაბედა გაზ. „ნოვოე ობოზრენიემ“. ეს მოთხრობა დაიბეჭდა რეაქციონურ გაზეთ „კავკაზში“, რომელსაც იმ ხანებში ხელმძღვანელობდა ველიჩკო. ვინ იყო ველიჩკო? უდიდესი რეაქციონერი, მოძულე კავკასიის ერების (განსაკუთრე-

ხით სომხების), იდეოლოგი—დამცველი თვითმპყრობელი რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის კავკასიაში. ეს პოლიტიკა თვით გაზეთმა „კავკაზმა“ პირველი რევოლუციის ტალღების ზეგავლენით ორი სიტყვით დაახასიათა: „Смирись Кавказ, идет Ермолов“.. ესე იგი ეს იყო დატუქსვისა და არტახების პოლიტიკა. როგორ მოხდა ხომ ასეთმა მოღვაწემ დაბეჭდა თავის გაზეთში მ. გორკის პირველი მოთხრობა? საქმე ის არის, რომ ველიჩკო თვითონ იყო პოეტი და როგორც მისი „Удавы“ და სხვა ნაწერები ამტკიცებს, არ იყო მოკლებული მხატრულ ალღოს. ამით აიხსნება ის, ერთის მხრით, უცნაური ამბავი, რომ უდიდესმა რევოლიუციონერ მწერალმა თავისი პირველი ლიტერატურული გამოსვლა რეაქციონურ გაზეთ „კავკაზში“ გააკეთა.

ამნაირად, კრასნოგორსკის კომუნა, მეტეხი და ლიტერატურული დებიუტი.—აი ის „სამი რამ“, რომელიც განსაკუთრებული ძაფებით აკავშირებს მ. გორკის თბილისთან და მის მუშათა კლასთან. ეს არის ერთი მეზეზი იმ დიდი სიყვარულისა და ინტერესის, რომელსაც საქართველოს მუშები და გლეხები მ. გორკისადმი იჩენენ, მაგრამ არის კიდევ მეორე მიზეზი, უფრო დიდი,—ეს არის მ. გორკის მთელი შემოქმედება, მთელი მისი ლიტერატურული მოღვაწეობა. მ. გორკის შემოქმედებას ახასიათებს უპირველეს ყოვლისა, ბრძოლის ჰიმნი, მაგრამ ეს თავისთავად რუსეთის მწერლობისა და ინტელიგენციიათვის „არა ახალია—ძველია“. რუსეთის ინტელიგენცია ათეული წლების განმავლობაში, ვიდრე მ. გორკი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდოდა, ებრძოდა ძველი რუსეთის დუხჭირ ეკონომიურსა და პოლიტიკურ პირობებს, ებრძოდა კალმით, ებრძოდა რევოლვერითა და ყუმბარებით. მოქალაქობრივი მოტივი რუსეთის ლიტერატურაში უცხო არ იყო. მაშ, რაშია მ. გორკის შემოქმედების ძალა და თავისებურება? **„ბოსიაკმა“ მ. გორკიმ არაჩვეულებრივი მხატრული ოსტატობითა და სიღრმით განასახიერა სრულიად ახალი კლასის — მუშათა კლასის მდგომარეობა და სულისკვეთება.—ამაშია მ. გორკის მიმზიდველობისა და ჯადოსნური გავლენის საიდუმლეობა.** მ. გორკის პატარა მოთხრობები ღაღადებდენ დიდ სიმართლეზე იმ ამომავალი მზის შესახებ, რომელსაც უნდა დაემსხვრია მონობის ბორკილები და გაეშუქებია მაცოცხლებელი სხივებით თვითმპყრობელი რუსეთის წყვდიადი.

სრულიად თავისებური მომენტებია: 1) ბოსიაკი მ. გორკი; 2) უდიდესი ნიჭი; 3) ახალი კლასი, რომელსაც ებრძოდა თვითმპყრობელობა და რომლის არსებობას არ სცნობდა ძველი ნაროდნიკობა.

ამ სამი მომენტის შეხამებამ შექმნა მთელი ეპოქა მ. გორკის შემოქმედების სახით.

ბოსიაკი რუსეთში მრავალი იყო, გორკი კი ერთია, მილიონები იყვენ გორკის ეკონომიურსა და პოლიტიკურ პირობებში, მაგრამ მათგან არაფერი დარჩა მ. გორკი „უნიკუმია“ თავის პირობებში.

გორკის გმირებს შორის არის ერთი, რომელსაც ის ყველაზე მაღლა აყენებს, რომელსაც ის თავს დატრიალებს—ეს არის **ადამიანი** ის, ვინაც სთქვა: „Человек это звучить гордо“—უდავოა, თვითონ იყო და არის „საამაყო ადამიანი“, საამაყოთ ატარებს ის ამ წოდებას.

მაქსიმიჩმა იცის ახირება, „ჯანყი“, მაგრამ ეს არის ყოველთვის ჯანყი რევოლიუციისა რეაქციის წინააღმდეგ, კულტურის—უვიცობისა და სიბნელის წინააღმდეგ, მისი განაჩენი სასტიკი და სამართლიანია.

მ. გორკი მოვიდა ნაზარეთიდან, საიდანაც მრავალი არაფერს კარგს არ მოელოდა, ის იყო ჩემპიონი ბოსიაკების, ლიტერატურული გოლიათი რუსეთის მუშათა კლასის, მან ნახა და სთქვა ის, რასაც ყველა უყურებდა და არავინ ხედავდა, რასაც ყველა გრძნობდა და ვერავინ ამბობდა. ეს არის გზა ნიჭით ზეგარდმოცხებულთა, გზა გენიოსებისა, გოხებრივი ტიტანების.

ბევრი კარგად იწყებს, ცუდათ ათავებს. ბევრი იწყებს დიდის ხმაურით, ათავებს მეორე დღესვე, ვინაიდან უცბად იფიტება, საფანტი არა ყოფნის. გორკიმ კარგად დაიწყო და ჩინებულად მიდის.

გორკის არა სწამს რასკოლნიკოვის ანარქისტული ფორმულა, რომელიც ძლიერ ახასიათებს ლუმპენის ფსქოლოგიას: „Взят все захвост и к чорту“.

გორკი ებრძოდა რეაქციას, ამხელდა მეშჩანობას, თავს ევლებოდა მუშას, მებრძოლსა და ქვეყნის გამანახლებელს.

ჩვენს თაობას ინტორიამ ოთხი უდიდესი გამოცდა მოსთხოვა — ეს არის სამი რევოლიუცია და ერთი უსაშინელესი ომი.

შექმნილ ლაბირინტში, ბევრმა კისერი მოიტეხა, სამარცხვინოდ ჩაქრა მრავალი პირველხარისხოვანი ვარსკვლავი, მრავალი დაექანა იმპერიალიზმისა და შოვინიზმის უფსკრულისაკენ.

მ. გორკიმ ოთხივე გამოცდა „ფრიადზე“ ჩააბარა: ის დარჩა ის, რაც ყოველთვის იყო: ექსპლოატაციის და მონობის წინაღმდეგ დაუდგრომელი პროტესტანტი და ადამიანის ღირსებისა და უფლების უბადლო დამცველი!

ერთს თავის მეგობარს გერცენი სწერდა: „ჩემო მეგობარო! ეცადე არ დარჩე მეორე ნაპირასო,—ესე იგი ბატონების ბანაკში, მჩაგვრელთა მხარეზეო“.

მ. გორკიმ ეს ანდერძი პირნათლად შეასრულა. ამიტომაა მას, რომ ასეთი ზეიმით უხდიან იუბილეს საბჭოთა კავშირის მშრომელნი.

ასეთი გახლავთ მ. გორკი, „ვილაც პეშკოვი“.

მან შემოიარა მთელი ქვეყანა, გამოიცვალა ათასი პროფესია, დასწერა მრავალი მოთხრობა, იბრძოდა სამივე რევოლიუციაში და ყველგან იყო და არის თავისებური, დიდი და საყვარელი.

რატომ? იმიტომ, რომ ოქრო ყველგან ბრწყინავს, სადაც არ უნდა იყოს იგი!

**ლეო შენგელაია.**

# ჩვენი მრეწველობის 5-წლიანი გეგმისათვის

**III.**

**პოლიგრაფიული ანუ სასტამბო მრეწველობა** ჩვენში არ არის სავსებით გაერთიანებული. საქ. პოლიგრაფიული მრეწველობის ტრესტი განაგებს მხოლოდ 6 სტამბას და ერთს ასოთ-ჩამომსხმელ ქარხანას. დანარჩენი სტამბები ადგილობრივ აღმასკომებისა და სხვა ორგანიზაციების ხელშია. (რკინის გზა, სამხედრო უწყება, რედაქციები და სხვ.).

მრეწველობის ეს დარგი ეყრდნობა შემოტანილ მასალას, როგორიცაა ქაღალდი, საღებავები და ლითონი (ტყვია, სპილენძი). მისი დანიშნულებაა ადგილობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და პროდუქციაც უმთავრესად განისაზღვრება (სხვების დაკვეთებით) გამომცემლობანი, უწყებები და სხვ.).

რაოდენობითი შემძლეობით მრეწველობის ეს დარგი იმდენათ განვითარებულია, რომ უკვე განიცდის კრიზისს დაკვეთების ნაკლებობით. ამიტომ აქ დღიურ წესრიგში დგას არა გაფართოების, არამედ შინაგანი მოწყობილობის განახლებისა და საწარმოთა კონცენტრაციის საკითხები. მაშასადამე, ეს დარგი ახლო მომავალში უნდა დაკმაყოფილდეს თავის საწარმოთა ტეხნიკური და საწარმოო რაციონალიზაციით. მისი გაფართოება იწარმოებს მოთხოვნილების ბუნებრივ ზრდის მიხედვით და განსაკუთრებულ ზომებს არ საჭიროებს. ფინანსიური საშუალება დასჭირდება უმთავრესად ძველი, გაცვეთილი ან ჩამორჩენილი მანქანების შესაცვლელად.

**ტყავის მრეწველობის** უძლიერესი წარმომადგენელია ჩვენში საქართველოს ტყავ-ტრესტი. მის ხელშია ტყავის დამმუშავებელი ორი ქარხანა, ერთი ფეხსაცმელების ფაბრიკა და ერთიც თექის ფაბრიკა, რომელიც ჯერ დაპირ არ არის დაკავშირებული ტრესტის მთავარ დარგთან. გარდა ამისა არის მთელი რიგი ტყავის ქარხნებისა ად მასკომებისა, ავტონომიურ რესპუბლიკებისა და შინა-მრეწველთა ხელში. მათი საჭიროება ნედლ მასალაზე— მსხვილფეხა საქონლის ტყავის მხრით დაახლოებით ასი ათასი ცალით. აქედან ტრესტის ქარხნებს (თბილისში) სჭირდება 60.000 ცალი, ბათომისას — 15.000 ც., ქუთაისისას — 5.000 ც., ფოთისას 4.000 ც., სოხუმისას— 4.000 ც. შინა - მრეწველობას — 10.000 ცალამდე და სხვ. გარდა ამისა ყველა ესენი ამუშავებენ წვრილი საქონლის ტყავსაც (ცხვარი, თხა), დაახლოებით 80.000 ც.

ამ მოთხოვნილების დასაფარავად ნედლი მასალა უნდა ვეძიოთ ჩვენში, რადგან საზოგადოთ მთელ კავშირში ტყავი წარმოადგენს დეფიციტიანს საქონელს და სხვა რაიონებიდან შემოტანის იმედი ვერ გვექნება.

ტყავის გამოსავალი დამოკიდებულია საქონლის (პირუტყვის) რაოდენობაზე და იმაზე, თუ რამდენი დაიკვლის წლიურად.

ამ გარემოებათა მიხედვით ჩვენ ვანგარიშობთ მსხვილი ტყავის გამოსავალს წლიურად 100—110 ათასი ცალის რაოდენობით, რაც უნდა ფარავდეს მრეწველობის მოთხოვნილებას. მაგრამ ბევრი ტყავი რჩება თვით მოსახლეობას, რომელშიაც ჯერ კიდევ საკმაოთ გავრცელებულია შინ ნაკეთები ტყავის ხმარება (ქალამნები), ნაწილობრივ ქურქისაც (მთიან ადგილებში), და აგრეთვე ტიკებისა. ამრიგად მოსახლეობაში დარჩენილი ტყავის რაოდენობა უდრის დაახლოებით 30 პროც. და თუ ამას გამოვაკლებთ საერთო გამოსავალს, მივიღებთ დაახლოებით 77—80 ათას მსხვილი საქონლის ტყავს. ესე იგი გვექნება საგრძნობი დეფიციტი, რომელიც უდრის 20 ათას ცალს.

სათანადო ზომების მიღებით შეიძლება, რა თქმა უნდა, მეტი ტყავის მოგროვებაც, მაგრამ ახლო მომავალში ჩვენ შეგვეძლება მხოლოდ ძლივს-ძლივობით დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქარხნების საჭიროება. თვით ტყავის დაბალი ხარისხი და ღირსებაც ზღუდავს ჩვენი მრეწველობის გაფართოების ასპარეზს. ჩვენებური ტყავი მჩატე და შედარებით ნაკლებ გამძლეა. ამიტომ მას დიდი გასავალიც არ ექნება კავშირის სხვა რაიონებში და ჩვენმა ტყავის მრეწველობამ მიზნად უნდა დაისახოს უმთავრესად ადგილობრივი მომხმარებელის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

წვრილი ტყავით რამდენათა ეს ცხვრის ტყავს შეეხება, ჩვენი მრეწველობა უზრუნველყოფილია. მაგრამ აქ ჯერ-ჯერობით დაძლეული არ არის მისი მთავარი ნაკლი, ტყავის ზედმეტი სიმსუქნჭე, რაც ძლიერ აფერხებს კარგი ღირსების წვრილი ტყავის გამომუშავების საქმეს. ამ ნაკლის დაძლევა შეუძლებელი არ არის, ამისთვის საჭიროა განსაზღვრული მანქანების შეძენა, და ეს უდგას მორიგ ამოცანათ პირველ ყოვლისა ჩვენს ტყავ-ტრესტს. თხის ტყავით, რომელიც უფრო ფაქიზ საქონელს იძლევა, ჩვენი მრეწველობა ვერ არის უზრუნველყოფილი და განიცდის ნაკლებობას, რაც გამოწვეულია ამ საქონლის ნაკლები გავრცელებით დღევანდელ საქართველოში.

ასეთია ტყავის მრეწველობის მდგომარეობა. ამიტომ მას საერთოდ დიდი პერსპექტივები არა აქვს, მით უმეტეს რომ დღევანდელ დონეზე მყოფსაც სალანჩეთ უცხოეთიდან შემოტანილი ტყავი სჭირდება, დაახლოებით 2.000 ცალი, ღირებული 50.000 მანეთამდე.

არა ნაკლებ ზღუდავს მის განვითარებას **მთრიმლავი მასალის** მომარაგების საქმის მოუგვარებლობაც, თუმცა ამ მასალისათვის გამოსადეგი მცენარეულობა ბლომად მოიპოვება, როგორც საქართველოში, ისე ჩვენს მეზობელ აზერბეიჯანში. საფაბრიკო წესით დამუშავებული მთრიმლავი მასალა, ე. წ. ექსტრაქტები მთელ კავშირში დეფიციტიან საქონელს წარმოადგენს და მისი დიდი ნაწილი შემოდის უცხოეთიდან. ეს კი არ არის ხელსაყრელი ჩვენი სავაჭრო ბალანსისათვის.

ამის მიხედვით ჩვენი მრეწველობის ხელმძღვანელ ორგანოებს განზრახული აქვთ **მთრიმლავი მასალების დამმუშავებელი ქარხნის აგება** და ეს უნდა გატარდეს საპერსპექტივო გეგმაში. თვით ტყავის მრეწველობის განვითარება კი უნდა გაყვეს ჩვენი მესაქონლეობის ზრდას და ჩვენებური ტყავის ხარისხის გაუმჯობესებას.

ტყავის მრეწველობაზე უფრო სუსტათ აქვს საქმე **ზეთის სახდელ და საპონის დამამზადებელ ქარხნებს.** ჩვენი ზეთის სახდელი ქარხნები (რიცხვით ორი) უკანასკნელ წლამდე ეყრდნობოდენ ამიერ - კავკასიის, უმთავრესად აზერბეიჯანიდან შემოტანილ ნედლეულს, ბამბის თესლს. წარსულ წლიდან კი მათი საქმე შეფერხდა, რადგან აზერბეიჯანში (განჯაში) და სომხეთში (ერევანში) მოწყობილ იქნა ზეთის სახდელი დიდი ქარხნები, და იქაური ნედლეული მათვე სჭირდებათ. საქართველოში კი ამავე დროს ბამბის მოსავალმა საგრძნობლად იკლო. მოხსენებული ორი ახალი ქარხანა შეადგენს ა.-კ. ბამბის კომიტეტის სარეწაოს და რა თქმა უნდა, ეს კომიტეტი პირველ ყოვლისა უზრუნველყოფს თავის ქარხნებს. ამის გამო შეიქნა მეტად მძიმე მდგომარეობა და მიმდინარე წელს ერთი ჩვენი ქარხანა უკვე შეჩერებულია. მეორეც უზრუნველყოფილია მხოლოდ რამდენიმე თვით. როგორც ხედავთ პერსპექტივა ცუდი აქვთ, თუ ჩვენი ბამბის მოსავალი არ მიეშველა მათ, ან სხვა რამე ნედლეული არ გამოვნახეთ ზეთის სახდელათ. ტრესტი ეძებს ასეთს ნედლეულს. ერთხანს მისი ყურადღება შეჩერდა წიფლის კაკალზე, მაგრამ გამოირკვა, რომ მისი დამზადება-დაგროვება არც ისე ადვილია, როგორც თავიდან ეგონათ. ახლა მის ყურადღებას იზიდავს სოია ანუ ხარის ლობიო, რომელიც ზეთით ძლიერ მდიდარია — რამდენად ხელსაყრელი იქნება მასზედ მუშაობა და რამდენათ უზრუნველყოფილი იქნება ტრესტი ამ მასალით, გამოირკვევა ახლო მომავალში.

ჩვენს ორ ქარხანას სჭირდებოდა ბამბის თესლი 400.000 ათასი ფუთი, რომლის მოყვანა ჩვენში არ იქნებოდა ძნელი საქმე, თუ ბამბის კულტურა მოიკიდებდა ფეხს. სამწუხაროდ, ეს კულტურა ძალიან ნელი ტემპით ვითარდება.

ეს გარემოება აფერხებს აგრეთვე **საპონის დამზადების** საქმესაც, რომლისთვის მთავარი და თითქმის ერთად-ერთი ადგილობრივი ნედლეული იყო ჩვენი ქარხნების მიერ გამოხდილი ზეთი. სხვა ყველა მასალა შემოსატანი იყო უმთავრესად რ. ს. ფ. რ.-დან და, როცა მთავარი ბაზა შეირყა, შეირყევა თვით საპნის მრეწველობაც, თუმცა შეიძლება, რა თქმა უნდა, სხვების დამუშავებული ზეთი შევიძინოთ და ის გადავამუშაოთ. აშკარაა, ეს უფრო ნაკლებ ხელსაყრელი იქნება და ნაკლებსაც შეძენს ჩვენს სახალხო მეურნეობას, მაგრამ ქარხნების დახურვას და უმუშევრობის გაძლიერებას ეს აჯობებს.

ასეთია ჩვენი მრეწველობის უსუსტეს დარგთა მდგომარეობა. ახლა გადავიდეთ მეორე ჯგუფზე. იქ მდგომარეობა უფრო მტკიცე და გამამხნევებელია...

**ნ. ელიავა.**

# რას ამბობენ ფაქტები

## პასუხი კ. კანდელაკს

III

### 2. მრეწველობის და შრომის საკითხები

„რაც შეეხება მეწველობას, იგი არ იძლევა იმედს, რომ არსებულ პირობებში შესძლებს ახალი მუშა-ხელის მიზიდვას, რადგან: „თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენი წარმოების თბობითი ენერგიის გენერატორები და ალმასრულებელი მექანიზმი უკვე გაცვეთილია და მოქმედებას მხოლოდ შემცირებული დატვირვით განაგრძობენ, მაშინ ნათელი გახდება, რომ ამჟამად მომქმედ სამრეწველო დაწესებულებათა პროდუქციის ზრდამ უკვე მიაღწია ერთგვარ საზღვარს, რომლის იქით მისი გაფართოება არსებულ გამართულობით შეუძლებელია" — სწერს კ. კანდელაკი.

კ. კანდელაკი სარგებლობს 24-25 წლის შესახებ საქ. საგეგმო კომისიის გამოცემაში გამოთქმულ აზრით და აცხადებს, რომ სამრეწველო დაწესებულებათა პროდუქციის ზრდამ უკვე მიაღწია ერთგვარ საზღვარს, რომლის იქით არსებულ პირობებში მრეწველობა არ იძლევა იმედს გაფართოებისას. კანდელაკის აზრით საქართველოს ინდუსტრიალიზაციის პირობებს საბჭოთა ხელისუფლება არ ჰქმნის. 1927 წ. (როდესაც დაიწერა ხსენებული ბროშურა) კოწია კანდელაკი, რომ გაცნობოდა 24-25 წლის შემდეგი წლების მასალებს ის შეხედავდა, რომ მისი პროგნოზი არ გაამართლა ცხოვრებამ.

წინა წერილში ჩვენ დავინახეთ, რომ საქართველოს მრეწველობის პროდუქცია 24-25 წელში მიღწეულ საზღვარს ბევრად გასცილდა. რაშია საქმე? რა მოხდა? არსებითად რა განსაზღვრავს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მიმართულებას? ეჭვს გარეშეა **კაპიტალური დაბანდებანი:**

### კაპიტალური აღმშენებლობა

თუ 24-25 წელში მრეწველობაში გაწეული კაპიტალური ხარჯები (უმთავრესად კაპიტალური შეკეთების სახით) ძლივს ფარავდა ძირითადი კაპიტალის მიმდინარე გაცვეთას, 25-26 წლიდან იწყება მეტის-მეტად გაძლიერებული ტემპით კაპიტალური აღმშენებლობა, როგორც კაპიტალური შეკეთების და არსებულ სამრეწველო დაწესებულებათა გაფართოება - გადაკეთებით, ისე ახალი ფაბრიკა - ქარხნების აგების სახით. 25-26 წლიდან მრეწველობა არა თუ ფარავს მიმდინარე გაცვეთას, არამედ გადადის ძირითადი კაპიტალის დაგროვება-გაფართოებაზე (განვიხილოთ ციფრები: 26-27 წელში ფაქტიური კაპიტალური ხარჯები საქართველოს მრეწველობაში (ელექტროფიკაციის გამოკლებით) უდრის 6.127,2 ათას ჩერვ. მან., ხოლო 27-28 წლისათვის გადადებულია, და მტკიცებულ ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით 10.026,5 ათასი მანეთი. აქ შედის საქართველოს ს. მ. ფ. ს., ავტონომიური რესპუბლიკების ს. მ. ფ. ს. და მაზრაღმასკომების მრეწველობა (არ შედის დანარჩენი სხაელმწიფო და კოოპერატიული მრეწველობა).

**საქართველოს ს. მ. ფ. ს. და ავტონომიურ რესპუბლიკების** (აფხაზეთი, აჭარისტანი)

სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობაში გაწეულ კაპიტალური ხარჯების დინამიკა.

| წლები | დაიხარჯა ათას ჩერვონ. მანეთი | | მ. შორის საკავშირო ბიუჯეტით (ათასმან.) | |
|---|---|---|---|---|
| | ა ბ ს | %% | ა ბ ს | %% საერთო ჯამი |
| 24/25 | 1.233,9 | 100,0 | 208,5 | 16,9 |
| 25/26 | 3.971,8 | 321,9 | 2.119,5 | 53,4 |
| 26/27 | 5.211,2 | 422,3 | 4.016,0 | 77,1 |
| 27/28 (ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინება) | 6.789,5 | 550,2 | 5167,0 | 76,1 |
| სულ 4 წ. განმ. | 17.206,4 | — | 11.511,0 | 66,9 |
| სულ ორი წლის განმავლობაში (25/26 და 26/27 წ.წ. | 9.183,0 | | 6.135,5 | 66,8 |

საქართველოს სახ. მეურნეობს უმ. საბჭოს და ავტონომიურ რესპუბლიკების სამეურნეო საბჭოების მრეწველობაში ოთხი წლის განმავლობაში 24-25 წ.—27-28 წლამდე დახარჯული და გაცემულია 17.206,4 ათასი მანეთი; ამ თანხიდან საკავშირო ბიუჯეტით გაღებულია 11.511 ათასი მან. ე. ი. 66,9 პროც-, დანარჩენი 32,1 პროც. ხვდება რესპუბლიკანურ ბიუჯეტს. მრეწველობის საკუთარ რესურსებს ან საბანკო სესხებს. წლიდან-წლამდე კაპიტალური ხარჯები იძლევა ძლიერ ზრდას. მაგ. 24-25 წელთან შედარებით 25-26 წელი იძლევა 3 ჯერ მეტ კაპიტალურ ხარჯებს და 26-27 წელი კი 4 ჯერ დიდდება. მონაწილეობა კაპიტალურ მშენებლობაში საკავშირო ბიუჯეტისა თანდათან ძლიერდება; თუ 24-25 წელში ის შეადგენდა 16,9 პროც.-ს, 26-27 წ. ადის 77,1 პროც.-მდე. 25-26 და 26-27 წლები იძლევა ფაქტიურ ხარჯს 9.183 ათას მანეთს, აქედან საკავშირო ბიუჯეტს წილად ხვდა 66,8 პროც.—

**თუ რა სახის კაპიტალური** აღმშენებლობა სწარმოებდა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საქ. ს. მ. ფ. ს. მრეწველობაში ჩვენ დავინახავთ შემდეგი ცხრილიდან:

| **კაპიტალური ხარჯების სახეები** | 25/26 წ. | | 26/27 წ. | | სულ ორი წელში | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ა ბ ს | %% | ა ბ ს | %% | ა ბ ს | %% |
| კაპიტალური შეკეთება | 222,4 | 6,0 | 277,8 | 6,3 | 500,2 | 6,2 |
| გაფართოება-რეკონსტრუქცია | 974,2 | 26,4 | 1.001,6 | 22,7 | 1975,8 | 24,4 |
| ახალი აღმშენებლობა | 2.489,8 | 67,6 | 3.139,8 | 71,0 | 5·629,6 | 69,4 |
| ს უ ლ . . | 3.686,4 | 100,0 | 4419,2 | 100,0 | 8.105,6 | 100,0 |

აქ აღებულია საქართველოს ს. მ. უ. ს. ტრესტები (საზინაო ალმშენებლობის გამოკლებით).

კაპიტალურ შეკეთებაზე და რეკონსტრუქცია — გაფართოებაზე დახარჯულია 25-26 წელში 32,4 პროც., 26-27 წ. 29.0 პროც., ახალ ალმშენებლობაზე 25-26 წ. 67,6 პროც., ხოლო 26-27 წელში 71,0 პროც., როგორც ჩანს ახალ ალმშენებლობაზე ხარჯების წონა თან და თანობით იზრდება. საერთოდ ორი წლის განმავლობაში (25-26 და 26-27 წ.) კაპიტალური შეკეთების და გაფართოება - რეკონსტრუქციის ხარჯი უდრის 30,6 პროც.-ს, ახალ ალმშენებლობაზე კი — 69,4 პროც.-ს.

მაშასადამე ცენტრი ყურადღებისა გადატანილია ახალ ფაბრიკა - ქარხნების აგებაზე. ჩვენ ვიცით, რომ კაპიტალური ხარჯები, გაწეული არსებულ სამრეწველო დაწესებულებათა კაპიტალური შეკეთებაზე, გაფართოებაზე (ახალი მანქანების დამატება) და რეკონსტურქციაზე (ძველი მანქანების ახალით შეცვლა) იძლევა პირველ ხანებში უფრო დიდ ეფექტს, ვიდრე ახალ ფაბრიკა - ქარხნებზე გაწეული ხარჯები. ერთის მხრივ ამით აიხსნება, სხვათა შორის, ის გარემოება, რომ 25—26 წელში ჩვენ გვაქვს მრეწველობის პროდუქციის სარეკორდო ზრდა (50,6 პროც. წინა წელთან შედარებით), მეორეს მხრივ კი იმითაც, რომ 25-26 წელში ადგილი აქვს არსებულ ტეხნიკურ მოწყობილობის თითქმის სრულ დატვირთვას და უფრო რაციონალურად მის ექსპლოატაციას (რასაკვირველია 24-25 წელი არ იძლევა არსებულ ტეხნიკურ-საწარმოო ბაზის სრულ გამოყენებას!).

მოგვყავს შედარებითი ცხრილი.

(ორი წელი — 25-26 და 26-27

ხვედრითი წონა კაპიტალური ხარჯებისა ორი წლის განმავლობაში პროცენტებში.

| კაპიტ. ხარჯების სახეები | რ. ს ფ. ს. რ (რუსეთი) | საქ. ს. ს. რ. (საქართვ.) |
|---|---|---|
| კაპიტალური შეკეთება . . . . . . | 30,4 | 6,2 |
| გაფართოება რექონსტრუქცია . . . | 57,9 | 24,4 |
| ახალი ალმშენებლობა . . . . . . . | 11,7 | 69,4 |
| ს უ ლ . . . . | 100,0 | 100,0 |

იმ დროს, როდესცა რუსეთის მრეწველობაში კაპიტალურ შეკეთებაზე იხარჯება 30.4 პროც., ჩვენში იხარჯება მხოლოდ 6,2 პროც. მთელი კაპიტალური ხარჯებისა. რით აიხსნება ჩვენში ასეთი უყურადღებობა კაპიტალურ შეკეთებისადმი? ეს აიხსნება იმით, ჩვენ სამრეწველო დაწესებულებათა ტეხნიკური მოწყობილობა მეტ ნაწილად იმდენად გაცვეთილი და მოძველებულია, რომ მათი კაპიტალურად შეკეთება მიზანშეუწონელია. გაფართოება - რეკონსტრუქციაზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წონაც ჩვენში ბევრად უფრო ნაკლებია. ვინემ რუსეთში — იქ 57,9 პრო. შეადგენს, ჩვენში კი 24.4 პროც-ს, ხოლო ახალ ალმნეშენებლობაზე ჩვენში დაიხარჯა 69,4 პროც. იმ დროს, როდესაც რუსეთში მოდის მხოლოდ 11,7 პროც..

ყველა ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია ვერ წავა არსებულ სამერწველო დაწესებულებათა გაშლა - გაფართოებით, არამედ ის უნდა წავიდეს, და კიდევაც მიდის ამ გზით, ახალი ალმშენებლობის გზით. (მხოლოდ მცირეოდენ ნაწილს ჩვენი ქარხნებისას უხერხდება გადაკეთება და რეკონსტრუქცია). ასეთი ცუდი მემკვიდრეობა მიიღო საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას ხელისუფლება აწარმოებს იმ გზით, რასაც უკარნახებს მას რეალური პირობები; ეს გახლავთ ახალი ფაბრიკა - ქარხნების აგება. ამ მხრივ 2-3 წლის განმავლობაში მიღწევები ჩვენ უკვე დავინახეთ ზემოთ მოყვანილ ცნობებიდან.

ნუ თუ კ. კანდელაკი კიდევ იტყვის, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არ შესწევს ძალა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის წარმოებისათვის!?.

ინტერესს მოკლებული არ იქნება ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენად გაიზარდა ჩვენი მრეწველობის ძირითადი კაპიტალი ამ ორი წლის განმავლობაში? როგორ სურათს იძლევა იგი რ. ს. ფ. ს. რ-სთან შედარებით:

(სათანადო ცხრილი იხილეთ ქვემოთ)

— რას ვხედავთ აქ ჩვენ? იმ დროს, როდესაც რუსეთში ორი წლის განმავლობაში ძირითადი კაპიტალი იძლევა ზრდას 17,2 პროც-ით, საქართველოს ს. მ. უ. ს. მერწველობის ძირითადი კაპიტალი იზრდება 53 პროცენტით. ასეთი ზრდა, რასაკვირველია, ხდება ახალი ალმშენებლობის ხარჯზე. თუ ჩვენ არსებულ სამრეწველო დაწესებულებათა ძირითად კაპიტალის ზრდას გავსინჯავთ, დავინახავთ რომ აქ ჩვენ გვაქვს 10,2 პროც.-ით ზრდა (კაპიტალური რემონტი და გაფართოება რეკონსტრუქცია), აქ ახალი ქარხნები და ფაბრიკები არ არის მიღებული მხედველობაში. საერთოდ ჩანს, რომ ჩვენი მრეწველობის ძირითადი კაპიტალის დაგროვება ხდება უფრო ჩქარი ტემპით, ვიდრე რ. ს. ფ. ს. რ-ში, ეს იმიტომ, რომ ჩვენი მრეწველობა რუსეთის დონესთან დიდათ არის ჩამორჩენილი. ამიტომ მართებულად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ასეთი ტემპი. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის მრეწველობის საერთო ჩამორჩენილობის ფონზე, განსაკუთრებული ჩამორჩენილობით ხასიათდება განაპირა ქვეყნები, მით უმეტეს ნაციონალური ერთეულები' ასეთია ძველი რუსეთის მემკვიდრეობა. ძველად ეს სამრეწველო დაბეჩავება ათ წლობით გრძელდებოდა მიუხედავად დიდი ბუნებრივი სიმდიდრისა და სასოფლო - სამეურნეო ნედლი მასალის დიდი მარაგისა. ოქტომბრის რევოლიუციამ ერთვნულ უმცირესობათ სამერწველო განვითარების შესაძლებლობა მისცა. საერთო საკავშირო გეგმა ინდუსტრიალიზაციისა გულისხმობს ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენებას მრეწველობის განვითარების საქმეში.

| | ძირითადი კაპიტალი 1925 წ. 1/X თვის (ათას მან.) | ორი წლის განმავ. დაიხარჯა კაპიტალურ მშენებლობაზე | ამორტიზაცია (ათას ჩერვ. მან.) | ძირითადი კაპიტალის ზრდა ორი წლის განმ. (ათას ჩერვ. მან.) | მატება $^0/_0$-ში |
|---|---|---|---|---|---|
| რ. ს. ფ. ს. რ.-კა . . . . . . . . . . . . . . . . . . | 1.230.000 | 358.000 | 146.000 | +212.000 | 17,2 |
| საქართველოს ს. ს. რ.-კა (ს. მ. უ. ს. მრეწველობა) . . . . | 13.742 | 8.763,1 | 1.364,7 | +7.368.4 | 53,0 |

თუ რამდენად გაიზარდა ჩვენი სამრეწველო პროლეტარიატი მრეწველობის გაფართოებასთან ერთად ჩვენ დავინახავთ შემდეგი ცხრილიდან:

### მსხვილ მრეწველობაში ჩაბმულ მუშების საერთო რიცხვის ზრდა

| | მუშების რიცხვი ცენზიან მრეწველობაში | | მუშების რიცხვი საქართველოს ს. მ. უ. ს. მრეწველობაში | | |
|---|---|---|---|---|---|
| | აბს. | %% | აბს. | %% | 1 სამრეწ. დაწეს. მოდის |
| 1925 წ.—1/X-თვის | 11.428 | 100,0 | 5.045 | 100,0 | 93 |
| 1927 წ.—1/X-თვის | 16.943 | 148,3 | 7.228 | 143,3 | 136 |

ორი წლის მანძილზე ცენზიან მრეწველობაში ჩაბმულია 5000 მუშების ახალი კადრი, ს. მ. უ. ს. მრეწველობა იძლევა 43,3 პროც.-ით მუშების რიცხვის მატებას, ამასთანავე ჩვენ ვხედავთ, რომ ახალ აღმშენებლობამ მოგვცა საგრძნობი ზრდა ქარხნის საშუალო სიდიდისა. — იმ დროს, როდესაც სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს მრეწველობაში 25 წელში საშუალოდ ერთ ქარხანაზე მოდიოდა 93 მუშა, 27 წელში მოდის 136 მუშა.

საკითხის კონკრეტიზაციის მიზნით ჩვენ რამოდენიმეთ შევჩერდებით ცალკე ტყის მრეწველობის და აბრეშუმის მრეწველობის დარგებში აღმშენებლობის საქმეზე. წარმოუდგენელი სისწრაფით ხდება ჩვენში მრეწველობის ამ ორი დარგის განვითარება. მოგვყავს შესაფერი ცნობები:

**საქართველოს ტყის მრეწველობის** უდიდესი ნაწილი გაერთიანებულია ხე-ტყის ტრესტში; ახლად აშენდა და დაიწყო მოქმედება 27 წელში შემდეგ სამრეწველო დაწესებულებებმა:

ბორჯომის საკასრე ქარხანა, 2) ახალ-აბასთუმანის ხე-ტყის სახერხი ქარხანა, 3) მარელისის გრეხილ-ავეჯეულობის ფაბრიკა, 4) თბილისის სადურგლო-ავეჯის ფაბრიკა (სრული გადაკეთება და განახლება მოხდა ამ ფაბრიკის; 5) მცხეთის ხე-ტყის სახერხი ქარხანა (ჯერ მუშაობა არ დაუწყია). აქ ჩამოთვლილ ფაბრიკა-ქარხნების ძირითადი კაპიტალი უდრის **2,843,7 ათას მან.** ეს იმ დროს, როდესაც ტრესტის ძველი ფაბრიკა-ქარხნების (11 დაწესებ.) ძირითადი კაპიტალი უდრის **372,4 ათას მან.** სულ ამჟამად ხე-ტყის ტრესტის ძირითადი კაპიტალი უდრის **3,216,1 ათას მანეთს.** მაშასადამე, ხვედრითი წონა ახალ სამრეწველო დაწესებულებათა ძირითადი კაპიტალისა ხე-ტყის ტრესტში უდრის 88,4 პროცენტს (ახალი ქარხნების აგებამდე ერთ დაწესებულებაზე საშუალოდ მოდიოდა 45 მუშა, ამჟამად კი მოდის 95, ესე იგი ქარხნის საშუალო სიდიდე ერთი-ორად გაიზარდა მუშების რიცხვის მიხედვით).

**აბრეშუმის მრეწველობაში** შემდეგი სურათი გვაქვს: მრეწველობა სავსებით გაერთიანებულია ტრესტში სახელწოდებით: „საქართველოს აბრეშუმი“ და არსებობს 1926 წლიდან. მან ჩაიბარა ორი ფაბრიკა: სამტრედიის ძაფის ამოსაღები და თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკები (ორივეს ძირითადი კაპიტალ უდრიდა **255 ათას. მან.**). 26—27 წლის განმავლობაში აგებულ და ამუშავებულ იქნა ოთხი ფაბრიკა: 1. ხონის, თელავის, ოზურგეთის ძაფის სახვევი ფაბრიკები და ერთიც ოზურგეთის ძაფის საგრეხი ფაბრიკა. ახალი ფაბრიკების ძირითადი კაპიტალი უდრის 585 ათას მანეთს, მაშასადამე ამჟამად მომქმედ ფაბრიკების ძირითადი კაპიტალი უდრის 840 ათას მანეთს: ხვედრითი წონა ძირითადი კაპიტალის მიხედვით ახალი ფაბრიკებისა უდრის 69,6%-ს. ძველად ერთ ქარხანაზე მოდიოდა საშუალოთ 150 მუშა — ხოლო ამჟამად მოდის 200-მდე მუშა.

ორიოდე სიტყვა **ელექტროფიკაციის შესახებ:** ცნობილია, რომ საქართველო ელექტროფიკაციის განვითარების მხრივ დიდ შესაძლებლობის ქვეყანას წარმოადგენს. ფრანგი მეცნიერების აზრით საქართველოს მდინარეების ძალოვნება 2,4 მილიონ H P აღემატება. საქართველო „თეთრი ნახშირით“ 3-ჯერ სჯობს სომხეთს, ხოლო ოთხჯერ აზერბეიჯანს. როგორია ბუნებრივი რესურსების გამოყენების საქმე ჩვენში? 22—23 წლამდე საქართველოს ჰიდრო - ელსადგურების ძალოვნება უდრიდან 1.690 H P, მთელი ელსადგურების ძალოვანება კი 12.000 H P არ აღემატებოდა. 1922 წლიდან დაიწყო საქართველოში ელექტრო - აღმშენებლობა „ზაჰესი“ს აგებით. (36 ათას H P.) „ზაჰესი“ უკვე მოქმედებს 18 ათასი H P ძალით; აჭარის წყალის და აბაშის ჰიდრო - სადგურებით ჩვენ გვაქვს ერთად 26.370 H P; მაშასადამე „თეთრი ნახშირის“ გამოყენება გაიზარდა უკვე 16-ჯერ (1.690 H P, ნაცვლად გვაქვს 26.370 H P). შენდება სოფლებში მრავალი ჰიდრო - ელსადგურები.

სულ ელსადგურების ასაშენებლათ იხარჯება დაახლოებით 46 მილ. მანეთამდე.

## ომის წინა დროის დონე მიღწეულია სავსებით

კ. კანდელაკის აზრით ომის წინა დროის დონე ჯერკიდევ არ უნდა იყოს მიღწეული ჩვენს მრეწველობაში. საქართველოში მცხოვრები ყოველი ქართველი უბრალო შთაბეჭდილებით იტყვის, რომ ომის წინა დროის დონე უკვე გადაჭარბებულია. სამწუხაროთ ჩვენ არ გვაქვს საშუალება უნაკლო შედარება მოვახდინოთ ამ მხრივ, ვინაიდან ომის წინადროინდელ მდგომარეობის შესახებ არ არსებობს ძთლიანი ცნობები. ის ცნობები კი, რომლებიც არსებობენ და შეეხებიან 1912 წლის Свод статистической сведений о фабрично - заводской промышлености Европеиской России за 1912 года издание министерство торговли и промышлености არ შეიცავს ყველა დარგის ცნობებს. (მაგალითად აქ არ არის მარგანეცის, ქვა-ნახშირის, ელსადგურეების და წყალსადენის შესახებ ცნობები). ჩვენ ვცადეთ მოგვეხდინა შედარება 26—27 წ. საქარხნო - საფაბრიკო (ცენზ.) მრეწველობის პროდუქციისა 1912 წლის პროდუქციასთან. შემდეგი წესით: 1912 წლის პროდუქცია ავიღეთ ამ.-კავ. სტატ. სამმართველოს წიგნიდან: «Народное хозяйство Закавкав. в цифрах» изд. 27 г. სადაც მოხსენებული წყაროს მიხედვით, გამოყვანილია საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქციის ღირებულება (მარგანეცის, ქვა-ნახშირის, ელსადგურების და წყალსადენის გამოკლებით). აქ პროდუქციის ღირებულება უდრის 16,486,4 ათას მანეთს (1912 წელში). ჩვენ ამ ციფრს დაუმატეთ მარგანეცის და ქვა-ნახშირის პროდუქციის ღირებულება (სხვა წყაროებით ნატურალურ ერთეულებში მოცემული), (შეფასებულია იმ ერთეულის ფასების მიხედვით, რომლითაც ფასები ამჟამად პროდუქციის, როდესაც ომის წინა დროის შეფასებაში გვინდა გამოვხატოთ; შავი-ქვის, რომელიც საჭიროებს გარეცხას, ფასი—3,05 კ. (ტონა), გარეცხილის და იმ მადნის, რომელიც არ საჭიროებს გარეცხას, ფასი—4,88 კაპ. (ტონა), ქვა-ნახშირის ფასი ტონისა—5—50 კ.).. 26—27 წლის პროდუქციას ჩვენ გამოვაკელით ელსადგურების და წყალსადენის პროდუქცია. (ამ სახით აღებულია 26—27 წლის ცენზიანი მრეწველობის პროდუქცია ომის წინა დროის ფასებში (გადაყვანილია პარიტეტით, რომელიც გამოანგარიშებულია სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს მრეწველობის მიხედვით).

უნდა ითქვას, რომ თუ ზოგიერთი დარგები ამ სახით მიღებული 1912 წლის მრეწველობის პროდუქციაში შეიძლება სრულიად არ იყოს წარმოდგენილი. მეორე

მხრივ, 1926—27 წლის მრეწველობის პროდუქციაც არ შეიცავს საერთო პროდუქციის სრულ აღრიცხვას, ვინაიდან ცენზიან მრეწველობის ჯამში არ შედის ისეთი სამრეწველო დაწესებულებანი, სადაც 16 მუშაზე ნაკლებია მომამრავებელთან ერთად, ან არა და 30 მუშაზე ნაკლებია.

**ამ სახით შედგენილი ცნობები იძლევა შემდეგ სურათს**

| წ ლ ე ბ ი | პროდუქციის ღირებულება ათას ომ წ. დრ. მან. | %% |
|---|---|---|
| 11912 წ. . . . . . . . . . . . | 20.076,2 | 100,0 |
| 926/27 წ. . . . . . . . . . | 26.042,9 | 129,7 |

1926—27 წ. მრეწველობის პროდუქცია საქართველოში 29,7 პროცენტით სჭარბობს 1912 წლის მრეწველობის პროდუქციას. ასეთი გადამეტება ომის წინა დროსთან შედარებით, არ უნდა ჩაითვალოს გადიდებულად.

**საქართველოს მრეწველობის** ზოგიერთი დარგების პროდუქციის (ნატურალურ გამოხატულებაში) დინამიკის მოცემა 1913 წლ. დაწყებული შეიძლება არსებული მასალებით). მოგვყავს დინამიური ცხრილი მარგანეცის, ქვა-ნახშირის, პაპიროსის და ჩაის ნაწარმოების გამომუშავების შესახებ:

საქართველოს მრეწველობის ზოგიერთი დარგების პროდუქციის დინამიკა ომის წინა დროდან დაწყებული (ნატურალურ გამოხატულებაში):

| წ ლ ე ბ ი | შავი ქვა (ათას ტონებში) | ქვა-ნახშირი (ტონებში) | შავი ჩაის დამზადება (გირვანქებ.) | პაპიროსი*) (1000 ცალი) | დ ი ნ ა მ ი კ ი ს %%: შავი ქვა | ქვა-ნახშირი | შავი ჩაის დამზადება | პაპიროსი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1913 | 663,8 | 71.710 | 313.934 | 1.503.485 | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 |
| 1916 | 240,4 | 72.365 | 350.942 | 2.419.985 | 37,9 | 100,9 | 111,8 | 161,0 |
| 1919 | 54,8 | 35.985 | 238.218 | 794.945 | 8,6 | 50,2 | 75,9 | 52,9 |
| 1920 | 120,5 | 71.424 | 343.132 | 1.040.611 | 19,0 | 99,6 | 109,3 | 69,2 |
| 1924 | 342,4 | 61.968 | 473.475 | 616.287 | 54,0 | 86,4 | 150,8 | 41,0 |
| 1925 | 543,2 | 81.428 | 426.755 | 1.074.866 | 85,7 | 113,6 | 135,9 | 71,5 |
| 1926 | 658,6 | 85.232 | 373.342 | 1.643.000 | 103,9 | 118,9 | 118,9 | 109,3 |
| 1927 | 737,8 | 93.549 | 542.861 | 1.807.392 | 116,6 | 130,5 | 172,9 | 120,2 |

*) პაპიროსები 23 წლიდან აღებული საბიუჯეტო წლების მიხედვით.

1927 წელში ჭიათურის შავი-ქვის ამოღება იძლევა 16,6 პროცენტით გადაჭარბებას შედარებით ომის წინადროსთან (აღებულია საშუალო წლიური 1909—13 წ.). 1926—27 წ. შედარებით 1913 წელთან იძლევა მატების ქვა-ნახშირისათვის 30,5 პროც., პაპიროსისათვის 20,2 პროც. და ჩაისათვის 72,9 პროცენტს.

შეიძლებოდა კიდევ მოგვეყვანა ციფრები და ფაქტები, მაგრამ, ჩვენის აზრით, მოყვანილ მასალიდანაც საკმარისად აშკარავდება ის გარემოება, **რომ** საბჭოთა ხელისუფლებას შესძლებია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის წარმოება (კ. კანდელაკი სწერს საქართველოს ინდუსტრიალიზაციის პირობებს საბჭოთა ხელისუფლება არ ქმნისო), **რომ** საქართველოს მრეწველობის ზრდა ხდება უჩვეულო ტემპით, **რომ** დიდძალი თანხები იხარჯება ახალი ფაბრიკა-ქარხნების აგებაზე, **რომ** კაპიტალური ხარჯების თითქმის სამი-მეოთხედი ნაწილი საკავშირო სახსრებით ხდება, **რომ** ჩვენში მრეწველობის განვითარება ხდება უფრო ძლიერი ტემპით, ვიდრე რუსეთში, რომ ომის წინა დროინდელი დონე მრეწველობაშიმ გადაჭარბებულია. აშკარაა: მტკიცება იმისა, რომ საქართველოს მრეწველობის განვითარების გეზი ვითომ სწორეთ არ იყოს აღებული, ყოველივე საფუძველს მოკლებულია. ასეთია ფაქტები, ხოლო ფაქტი უნდა აიღო ისე, როგორც არის, არც მეტი, არც ნაკლები*).

*) კაპიტალური ხარჯების შესახებ ვსარგებლობდით საქ. სახ მეურ. უმაღ. საბჭოს მასალებით და ლობოვის წიგნი: **„Промышленость Р. С. Ф. С. Р.“ изд. 1927 года.**

**ვლ. პაპავა.**

# რა ვნახე საბჭოთა კავშირში

**(გერმანელი ქალის შთაბეჭდილებანი)**

**I.**

არც ემიგრანტი ვარ და არც რომელიმე პარტიის წევრი. და ეს არამც თუ ეხლა, არასოდეს არ ვყოფილვარ. საბჭოთა კავშირი პირველად ვნახე: უწინდელი რუსეთიც არ მინახავს. უნდა გამოვტყდე, რომ შიში დიდი მქონდა. ეს საკვირველიც არ არის. ბურჟუაზიული პრესის ცნობით ვიყავი დატვირთული. მართალია, სხვა ცნობებიც მქონდა, მაგრამ ადამიანის ფსიხოლოგიაზე ერთი ცუდი რამ მეტ შთაბეჭდილებას სტოვებს, ვიდრე ორჯერ იმდენი კარგი.

არ დამავიწყდება განსაკუთრებით ორი სპეციალური კორესპონდენცია, „ნიუ-იორკ ტრიბიუნი“-სა და „ნეიშენ“-ის. იქ მოკლეთ, მაგრამ სხარტულათ იყო აწერილი საბჭოთა კავშირის მთელი ავ-კარგი. და როდესაც უარყოფით მხარეებს ვადარებდი, კარგს ის სჭარბობდა და ხშირად გახსენების დროს ერუანტელიც კი მივლიდა.

ასეთივე და ხშირად უარეს ცნობებს შევხვდებოდი „ლოკალ ანცაიგერ“-ში, „დეილი მეილ“-ში და როგორც ინგლისურ, ისე გერმანულ „დეილის ფოსტაში“ (მორნინგ პოსტ, მორგენ პოსტ).

ამიტომ გასაკვირალი არ იყო,— როდესაც ნაცნობები და მეგობრები გაიგებდენ, რომ მე თბილისში მოვდიოდი, გაკვირვებით მხრებს ასწევდენ. მართალია, პი-

რადგან უკანასკნელ ხანებში ყველაფერს მეუბნებოდნენ, რადგან იცოდენ, რომ მაინც წამოვიდოდი, მაგრამ მათი გამომეტყველება ყოველ ცალკე შემთხვევაში აშკარათ ღაღადებდა: საწყალი ბავში, რა ცოდვაა, თვითონ არ სჯერა, სხვასაც არ უჯერავს და საცხოვრებლათ მიდის ისეთ ქვეყანაში, საიდანაც იქაურები გარბიანო.

ასეთი, იყო წინასწარი პირობები ჩემი მოგზაურობის, და რა გასაკვირალია, რომ ყველაფერი ეს ჩემზე გავლენას ახდენდა. ამოტომაც იყო, რომ რამდენათაც საკავშირო საზღვარს უახლოვდებოდი, იმდენათ გული უფრო მეტად ძგერდა. უნდა გამოვტყდე, რომ სადგ. ნეგორელოეზე (საზღვარის საბაჟო) სახტად დავრჩი.

არ იკითხავთ რატომ?

კითხვის გარეშედაც უნდა აღვნიშნო. გარეგნული ყველაფერი პრიმიტიულათ მეჩვენა, პირველი შეხვედრა საბაჟოს მოხელესთან მეგონა დიდ უსიამოვნებას მომგვრიდა. ერთი საათის უკან პოლონეთის საბაჟოს მოსამსახურეებმა ცუდი განცდები დამიტოვა. საბჭოთა საზღვარზე მთელ ქვეყანაზე ცნობილმა საბაჟოს ტიპმა თავისი თავაზიანობით, ჩემი წინაგანწყობილება სრულიადაც არ გაამართლა, სულ წინააღმდეგი აღმოჩნდა. იგი იდეალურ ადამიანად ვიცანი. არ ვიცი, შეიძლება ეს სუბიექტიური შეხედულება იყოს, მაგრამ უნდა ვაღვიარო, რომ მეტის-მეტად კმაყოფილი ვიყავი. ყველაზედ უფრო სასიამოვნო ის იყო, რომ მე ადგილობრივი ენა არ ვიცოდი, ხოლო მოხელე ამას არ შეუწუხებია, ის მუნჯურათ ცდილობდა ცნობად ჩავეყენებიე. თანამგზავრები უმთავრესად ჩემს შეხედულებას, შემდეგ მატარებელში, იზიარებდნ, გარდა ერთი ებრაელისა, რომელსაც ეტყობოდა გულს სწვავდა, რომ საკონტიუმე ნაჭერისათვის დიდი ბაჟი გადაეხდევინებინათ. ის თავსაც კი იქებდა, მართალია ბაჟი გადავიხადე ქსოვილში. მაგრამ სამაგიეროთ აუარებელი თეთრეული უბაჟოთ გავატარეო. ამას ყველა მგზავრები ცდილობს. ყველას უნდა ბაჟს გვერდი აუხვიოს და უცხოეთის საქონელი ბაჟდაუდებლათ შემოიტანოს. აქ გასაკვირალი არაფერია. მეც ბევრი ვინანე. ასეთი თავაზიანობის მომლოდინე, რომ ვყოფილიყავი, ჩემს სამგზავრო ყუთს უფრო მეტი ნივთებით გავამდიდრებდი. ცოდვა გამომჟღავნებული **სჯობია.**

პირველი, ასე ვსთქვათ, დაპირისპირება მომიხდა კონდუქტორთან. პირველი შეხედვით, ჩემს წინაშე რაღაც შავი სილუეტი იდგა, რომელსაც მხოლოდ ხელი ქონდა განათებული და ისიც მაშინ, როდესაც სამგზავრო ბილეთს ფარანის სინათლესთან მიიტანდა.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი წესი არსად არ შემხვედრია, (ევროპაში სამგზავრო ბილეთს ბაქანზე გასვლის დროს და შემდეგ მხოლოდ მატარებელში სინჯავენ). ჩემი ბილეთი ავტომატიურათ ხელში მივაჩეჩე. მან ბილეთი ორჯერ-სამჯერ გადაატრიალა ხელში და რაღაც ხმამაღლა ჩაილუღლუღა. რასაკვირველია, მას მე ვერაფერი გავუგე და რონოდაზე ავედი, მაგრამ ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა, ვიღაცას ძლიერმა ხელმა ისევ ძირს ჩამომსვა. ეს კონდუქტორი იყო, მდუმარეობა მეტად გამოუვალი იყო. არ ვიცოდი რა მექნა. შავი სილუეტი ცხარობდა. მისი ბოხი ხმა მაშინებდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კეთილინება და პატარა ბავშვივით რონოდიდან ისევ მიწაზე დამსვა. საბედნიეროთ, მებარგემ მიხსნა. მან ხელი მომკიდა და მეორე რონოდისაკენ წამიყვანა, როდესაც დავბარგდი, ჩემთვის ნათელი გახდა, თუ რატომ ცხარობდა შავი სილუეტი. მისმა მოქმედებამ გააჯავრა აგრეთვე სხვა მგზავრებიც და ჩემი მებარგეც, რომელიც ხმამაღლა ედავებოდა მას და როდესაც დავბინავდით, შემდეგაც არ მშვიდდებოდა. ეტყობოდა, უნდოდა დავერწმუნებიე, რომ ის თავიდან უკ მაყოფილო იყო შავი სილუეტის მოქცევით

მგზავრობა განვაგრძე, მიუხედავად დაღლილობისა, თვალს ძილი არ წაკარებია. ალსარება უნდა გავაკეთო: შიშისაგან ყოველგვარი საშინელება მელანდებოდა. ასე მეგონა აჰა, ესეც არის „ჩეკა“-ს აგენტები გაჩნდება და სადღაც წამიყვანებენ. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. უკვე გათენებულიყო, როდესაც მატარებელი სადგურზე გაჩერდა. კონდუქტორმა „კუპეს“ კარები შემოაღო და უძინარობისაგან ჩახლეჩილი ხმით შემოიძახა: „სმოლენსკს“. ამის გაგონებაზე მე გამოვერკვიე და ძველ ისტორიულ ქალაქს ფანჯრიდან დაუწყე თვალიერება. სწრაფათ აღვადგინე მეხსიერებაში მთელი რიგი ისტორიული ფაქტებისა. არ ვიცი მეტი ისტორიის სახელმძღვანელოებიდან, თუ ტოლსტოის „ომი და ზავი“-დან. მე მგონია, უფრო რომანის ზეგავლენით, ვინაიდან ჩემ წინ მთელი რიგი პირობებისა აღიმართა, რომლებიც სასკოლო სახელმძღვანელოებში არც კი ამოიმიკითხავს..

შემდეგ.... შემდეგ ბოროდინო.. და სხვა მრავალი ისტორიულად თვალსაჩინო ადგილები. წამოიჭრენ ჩემს წინ.

მოსკოვსაც უახლოვდებით. მზის სხივებზე ტაძრის გუმბათები ბრჭყვიალებენ. აჰა, მოსკოვის სადგური. დი წარმოიდგინეთ სამგზავრო ბიუროს მიერ ბერლინიდან დეპეშით დაბარებული მოხელე კეპკაზე ფირმის სახელწოდების წარწერით ჩემს შესახვედრათ მოსული. მან კურსკის სადგურზე უნდა წამიყვანოს. თბილისში მომავალ მატარებლისათვის ადგილი უნდა ქონდეს ჩემთვის დაკავებული, რაც მან კიდეც შეესრულებია.

ავტოში ვზივარ და ყაზანის სადგურისაკენ მივექანებით... მიკვირს, რომ „ჩეკა“ ჯერ არსად გამოჩნდა. აი, ყაზანის სადგურზე, რომ მივალთ უთუოდ იქ დამიხვდება. ეხლა ხომ მაინც ვერსად წავალ, ვფიქრობდი ჩემთვის. აი, ყაზანის სადგურიც. თბილისის მატარებელიც უკვე დაიძრა და ყველაფერი ჩვეულებრივათ მიმდინარეობს. მიკვირს: და ეს არა იმიტომ, რომ მე პირადათ წინააღმდეგში ვიყავი დარწმუნებული, არამედ დამარწმუნეს და ხალხის თქმულობა: შეშინებულმა ძაღლმა სამ წელიწადს ჩირგვს უყეფაო... სწორედ ჩემზედაც ასრულდა.

ლი.—ლი.

# ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა განყოფილება

## მშრომელი ახალგაზრდობის მორიგი ამოცანები

ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა შორის მომუშავე ცენტრალურმა ბიურომ დიდი საქმე იკისრა და გააკეთა. მან რამოდენიმე ასი და ათასი ქართველი ახალგაზრდა ჩამოაშორა ქვეყნისა და თავის თავის დამღუპველ საქმიანობას და სწორ გზაზე დააყენა. ისინი. ერთდროს ხელისუფლების საწინააღმდეგოთ განწყობილ ახალგაზრდობიდან მან შექმნა მშრომელი ახალგაზრდობის ისეთი კადრი, რომელიც, ხელისუფლებასთან გვერდით დამდგარი, აქტიურად მუშაობს ქვეყნის საკეთილდღეოთ. დღეს ქართველი ახალგაზრდობა, როგორც განუყოფელი და მთლიანი ძალა, გარკვეულად იბრძვის საერთო მიზნისათვის. ესაა—პოლიტიკური და კულტურული რევოლიუციის მონაპოვარის შენარჩუნება და მისი განვითარება; ესაა—საბჭოთა ხელისუფლებასთან და კომკავშირთან ერთად ენერგიული ბრძოლა მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ; ესაა—მეცნიერული ცოდნითა და სათანადო მომზადებით შეიარაღება— აღნიშნულ მიზნის მისაღწევად.

ამ გზაზე, დღეს ჩვენში, ყველა ახალგაზრდა თანასწორია, ყველას ეძლევა სათანადო ასპარეზი და დახმარება თუ კი შესაფერ უნარსა და ენერგიას გამოიჩენს იგი.

:მჟამად, ჩვენი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი პოლიტიკურად აღარ ებრძვის მეორეს, მათ შორის პოლიტ-

კურ გაუგებრობას აღარ აქვს ადგილი და ყველა ერთი საქმის გარშემო მუშაობს.

ასეთი მთლიანი ფრონტის შექმნა ხელისუფლების ირგვლივ საერთო საქმისთვის დიდი გარანტიაა მისი, რომ გამარჯვებით დაგვირგვინდება ქართველი ხალხის კულტურული და ეკონომიური წინსვლა და განვითარებისათვის დასახული ფართო მიზნები და პერსპექტივები საბჭოთა რესპუბლიკების ძლიერ კავშირში მყოფ საქართველოსათვის, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით საკმაოდ უზრუნველყოფილია მყუდრო საზოგადოებრივი ცხოვრების შექმნით და ფინანსიური დახმარებით, დიდი ობიექტიური შესაძლებლობა და ხელის შეწყობის პირობებია ჩვენი ქვეყნის კულტურული და ეკონომიური აღორძინებისათვის. მთელ თავის ისტორიულ გზაზე ქართველი ერი არას დროს არ ყოფილა ასე დაცული, ასე უზრუნველყოფილი ეროვნული განვითარებისათვის საჭირო პირობებით. დღეს მას არც ერთი მტერის არ ეშინია, და დღეს, მან, მარჯვენა ხელი, მუდმივად ხმალი რომ ეჭირა—გაინთავისუფლა საკუთარი და საკაცობრიო საქმის საკეთებლად.

მშრომელმა ახალგაზრდობამაც იგემა თავისუფალი ცხოვრება. მას დღეს აღარ ეძახიან სამხედრო ფრონტებზე გასაგზავნათ და მიეცა საშუალება, რომ მოკიდოს ხელი სწავლის და ცოდნის შეძენის საქმეს.

ეს დიდათ ისტორიული ფაქტი დააფასა ჩვენმა მშრომელმა ახალგაზრდობამ. და აქედან გაისკვნა მათი მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური ინტერესების სამარადისო გაერთიანების ძაფი. მან აქ მოუღო ბოლო ყოველგვარ უწესო და დამღუპველ საქმიანობას, მიმართულს საკუთარი თავისა და საკუთარი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ. ამ ახალი და საერთო შეგნებიდან გამოსულმა ახალგაზრდობამ მტკიცედ დაირაზმა საბჭოთა ხელისუფლების გვერდით.

ყველანი დაგვეთანხმება, რომ ქართველ მშრომელთა ახალგაზრდობის პოლიტიკურ და კულტურულ შემოქმედების ისტორიაში აქედან იწყება ახალი ხანა, როდესაც მან, უნდა შეუდგეს მეცნიერების აკადემიურ შესწავლას და გონებისათვის ფართედ კარების გაღებას, რათა უფრო მოხერხებულად და გონივრულად უზრუნველჰყოს უამრავი სისხლით მონაპოვარი რევოლიუციის მოვლა-პატრონობა საკუთარ ქვეყანაში.

**დღეს, ეს ამოცანა ისტორიამ დააკისრა ჩვენს მშრომელ ახალგაზრდობას და იგი არსებითად უნდა დააფასოს და შეისწავლოს თვითეულმა კომკავშირელმა, თვითეულმა ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტმა,** ამაზე უარის თქმა დამღუპველი იქნება ჩვენი მომავალი თაობისათვის.

რევოლიუცია მოხდა. უფროსების მიერ დაღვრილმა სისხლმა და გაღებულმა მსხვერპლმა უნაყოფოდ არ ჩაიარა, მაგრამ ეხლა საჭიროა მისი დაცვა, რევოლიუციის მიერ წამოყენებული პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტა. ეს კი მოითხოვს დიდს შეგნებას, საზოგადოების პოლიტიკურ სიმტკიცეს და მეტ ცოდნას და მომზადებას.

ეს მოვალეობა მოკლე ხანში ჩვენს ახალგაზრდობას დაეკისრება, როგორც უფროსი თაობის შემცვლელი კადრს და ამას იგი მომზადებული უნდა შეხვდეს, რომ ღირსეულად შესძლოს ამ დიდი მოვალეობის შესრულება, მისი გაძღოლა და ხელმძღვანელობა.

ამ ამოცანის შესრულება ახალგაზრდობისათვის არც ისე ადვილია, თუ დროზე არ გაითვალისწინა იგი და აღიჭურვა სათანადო მეცნიერული ცოდნით. ისტორიაში უამრავია იმის მაგალითები, რომ მომავალ თაობას ყოველთვის ვერ შეუსრულებიათ ეს მოვალეობა, ვერ განუვითარებია, ვერ დაუგვირგვინებია წინაპრების დაწყებული საქმე. ეს გაკვეთილად უნდა გამოიყენოს ჩვენმა მშრომელმა ახალგაზრდობამ და ამთავითვე მისცეს კითხვა თავის-თავს ამის შესახებ,—თუ რა აკლია ჩვენს მშრომელ ახალგაზრდობას, მშრომელ ინტელიგენციას, ქვეყნის მომავალში ხელმძღვანელობისათვის და როგორ უნდა შეიძინოს იგი.

აი საკითხი, რომელზედაც უნდა ფიქრობდეს ყველა მშრომელი ახალგაზრდობა, რომელმაც თავისი თავი მტკიცეთ დაუკავშირა საზოგადო საქმეს; სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვებას.

ბრძოლის ქარბუქში გამობრძმედილი უფროსმა თაობამაც, რომელმაც საკუთარი სისხლით ააფრიალა თავისუფლების წითელი დროშა, უნდა უხელმძღვანელოს ახალგაზრდობას ამ დიდი საკითხების გადაწყვეტაში და შესრულებაში.

**შოთა გოგუა.**

---

## სად უნდა იყოს ახალგაზრდობა

ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვებამ და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ მსოფლიო ბურჟუაზიის მხრივ შეურიგებელი წინააღმდეგობა გამოიწვია, მთელი კაპიტალისტური მსოფლიო საბჭოთა ქვეყნების დასამხობად აღსდგა. იმპერიალისტური სახელმწიფოები ცდილობდენ, რომ შეიარაღებული ძალით, ინტერვენციის საშუალებით დაემხოთ მშრომელთა დიქტატურა და კვლავ ბურჟუაზიის ბატონობა აღედგინათ, მაგრამ საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების რევოლიუციონური სიმტკიცე ვერ დასძლია ვერც შინაურმა კონტრ-რევოლიუციამ და ვერც კაპიტალისტური სახელმწიფოების შემოტევამ, ორივენი სასტიკად დამარცხდენ.

როდესაც საბჭოთა კავშირის ინტერვენციის საშუალებით დამარცხების გეგმა ასე დასრულდა, მათ მიმართეს მეორე, უფრო პასიურ საშუალებას, ეკონომიური ღონისძიებების გატარებას, ეკონომიური ბლოკადის განხორციელებას და მით ეკონომიური კრიზისის გამოწვევას, რაც შემდეგ პოლიტიკურ ხასიათსაც მიიღებდა.

მაგრამ მსოფლიო იმპერიალიზმს არც ეს იმედი გაუმართლდა. საბჭოთა ხელისუფლება აქაც გამარჯვებული გამოვიდა. მან კაპიტალისტური სახელმწიფოების დაუხმარებლად შესძლო მსოფლიო და სამოქალაქო ომებისაგან დანგრეული მეურნეობის აღდგენა და მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა სოციალისტური მშენებლობის გზაზე.

საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და პოლიტიკურ განმტკიცებასთან ერთად, რეაქციონურ ბურჟუაზიას არა ნაკლებ აშინებს აგრეთვე კოლონიალურ და ნახევრადკოლონიალურ ხალხებში დაწყებული რევოლიუციონურ განმანთავისუფლებელი მოძრაობა, რაც მიმართულია მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ამ მოძრაობის ინიციატივასაც ისინი აკუთნებენ საბჭოთა კავშირს, რისთვისაც ვეღარ ახერხებენ პასიურ ბრძოლაზე შეჩერებას და ისევ უბრუნდებიან ბრძოლის ძველ მეთოდს, საბჭოთა კავშირზე შეიარაღებული თავდასხმის მოწყობას.

საერთაშორისო რეაქციის მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ასეთი გეგმების დასახვამ აახმაურა ქართველი ემიგრაციის ბელადებიც. ის ხალხი, რომლებმაც საქართველოში სამი წლის ბატონობის დროს ქვეყანა უცხოეთის გენერლების სათარეშოთ და მუდმივი ბრძოლების ასპარეზათ გადააქციეს, ვერ დაამყარეს ეროვნული ზავი მეზობელ სახელმწიფოებთან, ვერ გაატარეს ვერც ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა მუშებისა და გლეხების სასარგებლოდ და ქვეყანა ეკონომიურ გაკოტრებამდე მიიყვანეს, ეხლა უცხოეთიდან ჰპირდებიან ჭირისუფლობის გაწევას და ახალ პროვოკაციას უწყობენ ქართველ ხალხს.

აგვისტოს გამოსვლების შემდეგ ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ჟორდანია-რამიშვილის მოქმედება დაღუპვას უქადის ქართველ ერს და ყველა მშრომელი მოქალაქე ამოუდგა გვერდში საბჭოთა მთავრობას, რომელმაც საქართველოში იმდენი რამ გააკეთა კულტურულ-ეკონომიურ ფრონტზე—ამ მოკლე ხნის განმავლო-

ბაში, რამდენი მთელი საუკუნეების მანძილზე არ გაკეთებულა.

ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთებია ეროვნული ზავი ამიერ-კავკასიის ერთა შორის, რომელიც შვიდი წლის განმავლობაში ერთხელაც კი არ დარღვეულა, მიღწევები ელექტროფიკაციის დარგში, ახალ — ფაბრიკა-ქარხნების და საგზაო მშენებლობა, რომელიც ქმნის რეალურად ეკონომიურ საფუძვლებს ერის კეთილდღეობისა და წინმსვლელობისათვის სოციალიზმის გზაზე.

ყველა ზემოაღნიშნული მიღწევების შემდეგ ემიგრაციის ხელმძღვანელები გრძნობენ, რომ ფაქტები მათ წინააღმდეგ ლაპარაკობენ და ქართველმა ხალხმა ზურგი შეაქცია მათ. ამიტომ მზად არიან, რომ ყოველგვარ საშუალებას მიმართონ, ოღონდაც შექმნან მოძრაობის რაიმე ილიუზია.

ძველი მუშები დიდი ხანია მიხვდენ, რომ ემიგრაციის პოლიტიკა დაშნაკების პოლიტიკის განმეორებაა საქართველოში, რაც ფიზიკურ განადგურებას უქადის ქართველ ერს და დაგმეს მენშევიზმის გზა.

ემიგრაციის ლიდერებს ამჟამად სურთ თავიანთი დასაყრდენი ბაზა ახალგაზრდობაში გადაიტანონ, საზოგადოების ეს ნაკლებ დაკვირვებული და მეტი ბრძოლის ტემპერამენტის მქონე ნაწილი გამოიყვანონ ბრძოლის ასპარეზზე.

ჩვენი მოვალეობაა, რომ ახალგაზრდობა გარკვეული გვყავდეს, მან იცოდეს, თუ რას უქადის ემიგრაციის ხელმძღვანელების საქმიანობა ქართველ ერს; რა შედეგი მოყვება საბჭოთა ხელისუფლების დამარცხებას საბჭოთა კავშირში საქართველოსათვის. მან უნდა გაითვალისწინოს, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამარცხება არის დამარცხება სოციალიზმის იდეის მთელ მსოფლიოში, რამოდენიმე ათეულ წლებით მაინც და ფაშისტური რეაქციის გაბატონება. საბჭოთა ხელისუფლების დამარცხების შემდეგ საბჭ. კავშ. გამეფდება საშინელი რეაქცია, რომელიც საქართველოს კვლავ გადააქცევს რუსეთის ოკრაინად და შეუდგება ძველად ნაცნობი რუსოფილური პოლიტიკის გატარებას.

ხელის შეწყობა ემიგრაციის ხელმძღვანელების პოლიტიკისათვის—ეს ნიშნავს, რომ ხელი შეუწყო საქართველოში დაწყებული ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის აღორძინების მოსპობას.

ეს გზა დაგმო საქართველოს მუშათა კლასმა და მას არ უნდა გაყვეს ქართველი ახალგაზრდობაც.

სტუდენტი **სერგო ბილისერიშვილი.**

# კიდევ გაეროვნების გარშემო

არ იქნა, არ მოგვარდა საბოლოოდ გაეროვნების საქმე ჩვენს რკინის გზებზე; აბა, ჩაუკვირდით რკინის გზის ყოველდღიურ საქმიანობას, გაეცანით რკინის გზებზე სახმარ თერმინებს, ყური დაუგდეთ სამსახურის დროს რკინისგზელების „წმინდა“ ქართულს, გადაავლეთ თვალი იმ უამრავ ცირკულიარებს და განკარგულებებს, რომელიც აჭრელებულია ქართული ასოებით დაწერილ რუსულ სიტყვებით და დარწმუნდებით, რომ ჯერ-ჯერობით რკინის გზებზე გაეროვნების დარგში სანხევროდაც არ არის საქმე მოგვარებული. ხშირად „გაეროვნების“ ფაქტები მეტად კურიოზულ ხასიათს ღებულობს.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ მოვითხოვთ, რომ სავსებით დაცულ იქნას ქართული ენის სიწმინდე და სიფაქიზე რკ. გზებზე, არამედ ჯერ-ჯერობით არ ხერხდება არამც თუ რკინის გზებზე, არამედ ისეთ დაწესებულებებშიაც კი, რომელსაც უსათუოდ მოეთხოვება ენის სიწმინდის დაცვა, მაგ. სასამართლოებში, — ზოგიერთ კომისარიატებში და სხვ.

მერე, რამოდენი თანხები და ენერგია იხარჯება რკინის გზაზე გაეროვნების საქმისთვის. ცენტრალურმა ხელისუფლებამ, გზების ადმინისტრაციამ დიდი ხანია, რაც დაკვრით ამოცანად გამოაცხადა რკინის გზებზე გაეროვნების გატარება, მაგრამ მაინც არაფერი ეშველა საქმეს.

ცხადია, საბჭოთა მთავრობის მტრები, განსაკუთრებით საზღვარ გარედ გადახვეწილი ჩვენი ემიგრაციის სახით, შეეცდებიან ეს ნაკლი გამოიყენონ თავის მორიგ დემაგოგიის საგნად. ისინი კიდევაც არა ერთხელ ამეტყველებულან თავის პრესაში რკინის გზაზე გაეროვნების საკითხის გარშემო და ქვეყნისთვს შეუტირიათ: საქართველოში „ენაც წახდა და ხალხიც დაეცაო“. მაგრამ ასეთი იაფფასიან დემაგოგიას არა აქვს ნიადაგი, ფაქტები ნათლად ლაღადებენ, რომ მთავრობის პოლიტიკა მიმართულია გაეროვნებისაკენ. აქ მთავრობა არაფერ შუაშია.

რკინის გზაზე ენის დამხინჯების ფაქტები არა ერთხელ აღინიშნა ჩვენს ჟურნალში ის აღნიშნა აგრეთვე მთავარმა სათერმინოლოგიო კომიტეტმა, რომელმაც 10 მარტის სხდომაზე დაადგინა: **„ენისა და თერმინოლოგიის საკითხები ამიერ - კავკასიის ნაციონალური კომისია უნდა შეუთანხმდეს განათლების კომისარიატთან არსებულ ცენტრალურ სამეცნიერო სათერმინოლოგიო კომისიას და დაემორჩილოს მის კონტროლს“.**

— დიახ, აუცილებელი საჭიროა კონტროლი და გაძლიერებული მეთვალყურეობა რკინის გზებზე გაეროვნების საქმისათვის. რკინის გზის სამმართველოსთან არსებულ სათერმინოლოგიო კომისიამ თავისი მუშაობა სავსებით უნდა შეუთანხმოს მთავარ სათერმინოლოგიო კომიტეტის საქმიანობას, გარდა ამისა, მანაც უშუალოდ უნდა ადევნოს თვალყური, რომ რკინის გზაზე დაუმახინჯებლად იქნას გატარებული თერმინები, რომლის შემუშავების დროს სათერმინოლოგიო კომისიამ უნდა გამოიჩინოს მეტი დაკვირვება და საქმის ცოდნა; თერმინი ყოველმხრივ უნდა იქნას შესწავლილი და დასაბუთებული, რომ მისი შეთვისება და ცხოვრებაში გატარება ყველასათვის ადვილი იქნეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში ადგილი არ უნდა ექნას უკიდურესობას, თვითეულ სიტყვის მახინჯად გადაქართულებას (ვაგონის მაგიერ — „რონოდა“, დეპოს მაგიერ „საყუდი“ და სხვ.) ვერას შემატებს ქართულ ენის სიწმინდეს).

გარდა ამისა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რკინის გზების სამმართველოსთან არსებულ მთარგმნელთა ბიუროს, რომლის საქმიანობა, სამწუხაროდ, ნახევრადაც არ არის დამაკმაყოფილებელი. მათ ხელში მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია რკინის გზებზე სახმარი ენა. მათი თარგმნილი მიწერ-მოწერა უმეტეს შემთხვევაში გაუგებარია ყველასათვის.

ამის დამადასტურებელ ფაქტების აღნუსხვას ჩვენ აქ არ შეუდგებით, ვინაიდან ეს იცის ყველამ, ვისაც ერთხელ მაინც ჩავარდნია ხელში რკინის გზის სამმართველოს მთარგმნელთა „ლიტერატურა“.

ამისათვის აუცილებელი საჭიროა მთარგმნელთა კადრის შერჩევა და აგრეთვე სათერმინოლოგიო კომისიის უშუალო კონტროლი.

ხსენებული კომისია ყოველნაირად უნდა დაეხმაროს მთარგმნელებს ამ მეტად ძნელ და საპასუხისმგებლო საქმეში. მთარგმნელთა ბიუროსა და ამ კომისიას შორის უნდა არსებობდეს მჭიდრო და უშუალო კავშირი. ყოველ სიძნელის დროს სათერმინოლოგიო კომისია უნდა იყოს მთარგმნელთა მშველელი.

გარდა ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებათა, საჭიროა თვითეულმა რკინისგზელმა კარგად შეიგნოს გაეროვნების აუცილებლობა და მიიღოს ამ საკითხის საბოლოოდ გადაჭრაში აქტიური მონაწილეობა.

უპარტიო.

სარედაქციო კოლეგია.

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქუჩა № 68.